

ახალი თარიღი



12 ივნისიდან! „ახალი თარგა“ + დალაილამა 8 ლარი

100 წიგნი ადამიანები რომლებიც შეცვალეს მსოფლიო

დალაი ლამა

საერთაშორისო ბიოგრაფიული პროექტი

15 — 16 ივნისი, 2013

№140 (6141)

ფასი: 30 თეთრი



„სტუდენტებს ვერ მოგვერევიტო!“

გვ.3

სანდრო ბრეგაძე: „რესპუბლიკელები ბიძინა ივანიშვილს უკვე ღიად დაუპირისპირდნენ“



გადამდელი არჩევნები საპარლამენტო გარდაუვალია

ვინ გაუშვა ჭიაბერაშვილი საქართველოდან

გვ.5



გვ.4

ვაჟაბან ჩხალიანი სააკაშვილსა და ხაჩიძეს სასამართლოში უჩივის



გვ.4

18 წლის ახალგაზრდის დაჭრისთვის უსს-ს მაღალრიგისანი დააკავეს



გვ.3

„მკვლელებთან კოპაბიტასია არ გვინდა!“

ბიძინა ივანიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოზე პოლიტიკური ზეგავლენის მსდლოგას ვერ გავბედავთ“

გვ.2



გვ.5

ზაურ ქორთოშიძე: „ჩვენს სახლში ტერორისტებს არასდროს უხმობრიათ“

მაია ნათაძე: „რეჟიმური მაღალკვალიფიციური, მოაზროვნე მეცნიერი უნდა იყოს“



გვ.3





სანდრო ბრეგაძე: „რესპუბლიკელები ბიძინა ივანიშვილს უკვე ღიად დაუპირისპირდნენ“

ვადაძვლი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალია

ნონა ცაბაძე

სანდრო ბრეგაძე უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის მინისტრის საკითხს ეხმიანება და „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს:

— მეტად უცნაურია ის, რომ დღეს მიმდინარეობს საუბარი, რომ თითქოს და უმაღლესი სასწავლებლებს ერთმევათ ავტონომიის უფლება. საერთოდ, რაც არა აქვს ორგანიზაციას, რაც არა აქვს უმაღლეს დანესებულებას, იმას ვერასოდეს ვერ წაართმევ. მე მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ არანაირი ავტონომია არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს და ეს ყველაფერი, რაზეც დღეს საუბრობენ ვითომ დემოკრატიის და ვითომ უნივერსიტეტების ავტონომიების მოსურნე პირები, ეს არის თითქმის გამოწვევილი და ეს უფრო მეტად ემსახურება პოლიტიკურ ინსულაციებს, ვიდრე იმას, რომ ვინმეს სურდეს რეალურად უნივერსიტეტების ავტონომია. მე ვფიქრობ, რომ პირიქით, ჩვენთან ლოზუნგად უნდა იქცეს ერთი რამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები ნაციონალი კომისრების გარეშე. არ მესმის, რომელ უნივერსიტეტის ავტონომიაზე საუბრობენ ნაციონალური მოძრაობის პოზიციაზე გადასული „ქართული ოცნების“ დეპუტატები. სად იყო ავტონომია? ავტონომია იყო, როდესაც ჩვენ მსოფიან მეცნიერებს, პროფესორებს, მეცნიერ-მუშაკებს პატივს ვცემდით და უნივერსიტეტის კედლებში დაპატიმრებული ჰყავდა?! ავტონომია იყო, როდესაც ავაზაკი ხუბუა და შემდეგ არანაირად ავაზაკი კვიტაშვილი, ნაცზონდერგმა და კუდმა შეიყვანეს უნივერსიტეტი და რექტორის სავარძელში ჩასვეს?! ავტონომია იყო, როდესაც ილიას უნივერსიტეტში მერაბიშვილის მიყვანილი სპეცრაზმით შესული გივი თევზაძე მოთავსდა რექტორის სავარძელში?! ავტონომია იყო, როდესაც დეკანოვს და პროფესორებს კუდის შანტაჟის ქვეშ აწვრილებდნენ განცხადებებს?! ავტონომია იყო, როცა ნერვაკითხვის უცოდინარი თავისუფლების ინსტიტუტისა და კმარას აქტივისტები დანიშნეს უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორებად?! ავტონომია იყო, როდესაც მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას გარეშე რექტორატი ნაბიჯსაც კი ვერ გადამდა ვერც ერთ უნივერსიტეტში?! მანტერესებს, ეს იყო ავტონომია?! მაშინ იყო თავისუფალი უნივერსიტეტი?! რომელ ავტონომიის წარმომავ-

ზეა საუბარი, როდესაც ავტონომია საერთოდ არ არსებულა და ყველა უნივერსიტეტი იყო იმ ადამიანების პირდაპირ დაქვემდებარებაში, რომლებიც სახელმწიფოს მართავდნენ.

— დღეს ამ მოთხოვნით მიტინგე

ვგონებ, რომ ხალხმა მათ მისცა ხმა. ხმა ივანიშვილს მისცეს და მისცეს იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა დაემარცხებინა და ნაციონალური მოძრაობა გაესამართლებინა. მათთვის საკუთარი ოჯახის წევრების გარ-

რაობის პოზიციაზე. ადრე თუ გვიან, ეს პოზიცია ნაციონალურ მოძრაობას და ამ პოლიტიკურ ძალას შორის კიდევ უფრო დაახლოვდება და მე პირდაპირ შემძლია გითხრათ, რომ დანეშებული ნაციონალური მოძრაობის წევრების შედინება რესპუბლიკურ პარტიაში და იგივე სხვა პარტიებში. ისინი უდრტივინველად, ყოველგვარი პირობის გარეშე იღებენ თავიანთ რიგებში ნაციონალური მოძრაობის საკრებულოს წევრებს. იმიტომ, რომ მათ თავიანთი წევრები არ ჰყავდათ დიდი რაოდენობით და ფაქტიურად გაიძევივნენ ნაციონალური მოძრაობით და ლოგიკურია, რომ ეს პროცესი გაგრძელდება. მე ამ წინააღმდეგობას, გარდა შეშინების მცდელობისა, უნდობლობას და ვარკვევდი რესპუბლიკელებისა და სხვა პარტიების მიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ეს არ არის არანაირი ავტონომიურობისთვის ბრძოლა და მათ ძალიან კარგად ციან, რომ ერთპიროვნულად სააკაშვილი მართავდა ამ სასწავლებლებს და სააკაშვილის ოჯახის წევრები იყვნენ ამ სასწავლებლების ხელმძღვანელები.

აკეთებენ შეგნებულად.

— თუ ესმით, მაშინ რატომ აქვთ ასეთი პოზიცია?

— მე ვფიქრობ, რომ ეს არის ბიძინა ივანიშვილის მიმართ ფარული შური და ფარული ზიზღი. თუ ვინაა ეს ხალხი, მოდით, ეს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაარკვიოს და მან გამოიტანოს თავისი დასკვნები. მე ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, სასწრაფოდ გავათავისუფლოთ უნივერსიტეტები ნაცკომისრებისგან, იმ ტიპის კომისრებისგან, რომლებიც არიან სულიერი შვილები იმ წითელი კომისრებისა, რომლებმაც თავის დროზე ვინავე ჯავახიშვილი გააძვეეს თავისავე დაარსებულ უნივერსიტეტთან.

— ბატონო სანდრო, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე შევეხოთ, საუბარია, რომ ივანიშვილი ძალიან უკმაყოფილოა ამჟამინდელი პარლამენტით და ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ის აუცილებლად დანიშნავს ვადამდე საპარლამენტო არჩევნებს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, უბრალოდ, ამ თემაზე ჯერჯერობით ხმა მალა არ საუბრობს... რამდენად არის ეს ასე?

— მე დარწმუნებით არ შემიძლია გითხრათ, რომ ივანიშვილი აუცილებლად დანიშნავს ახალ საპარლამენტო არჩევნებს, მე ამას გადაჭრით ვერ ვეტყვი. რა თქმა უნდა, ამის შესახებ არის საუბრები, არის სურვილები და ამის მზაობაც გახლავთ, მაგრამ რამდენად გადაწყვეტს ბატონი ბიძინა ივანიშვილი ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშნავს, ეს, რა თქმა უნდა, მისი გადასაწყვეტია და მას ამაზე ჯერ არ უსაუბრია. თუმცა ერთი რამ ნამდვილად შემიძლია გითხრათ, თუ არ დანიშნავს ახალი საპარლამენტო არჩევნები, მაშინ ჩვენ უკან წავალთ. თუ არ დანიშნავს ვადამდელი არჩევნები, ნაცკომისრების და ურთიერთობა თანაგუნდური არ არის. ეს არის უფრო კონკურენტული ურთიერთობა და პირდაპირ გეტყვით, მე ამის შესახებ ვფერხობ და ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილს პირად საუბრებში და არაერთხელ მოთქვამს, რომ ეს მომენტი ადრე თუ გვიან დადგება. მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს ერთი რამ, ის, რომ ივანიშვილს არანაირად არ სურს დანიშნოს რექტორები, ეს არის დროებითი ლინისძიება იმისათვის, რომ უმაღლესი სასწავლებლები გათავისუფლდნენ კმარას აქტივისტებისა და ნაცკომისრებისგან და შეეძლოს უნივერსიტეტებში ნაივად ნორმალური სამეცნიერო საქმიანობა. ყველამ კარგად იცის, რომ ნაცკომისრების დიქტატურა და მათი ბოგინა ყველა უმაღლეს სასწავლებელში და ამის სასწრაფო წესით აღმოფხვრას საჭირო. ეს ყველაფერი და არა მგონია, იმ ადამიანებს არ ესმოდე, რომლებმაც ამას ხმა არ მისცა. ეს ყველაფერი მშვენიერად ესმის და სწორედ ამისთვისაა საჭირო ეს დროებითი ლინისძიებები. ეს ესმით და ამას



გებს მართავენ ნაციონალები და მათი მხარდამჭერები...

— ჩემთვის უცნაურია, რომ დღეს გამოდის ავაზაკი ადამიანი, ვია ნოდია და გივი თევზაძესთან ერთად მართავს მიტინგებს ავტონომიის შენარჩუნების მოთხოვნით. სწორედ ვია ნოდია იყო და მისმა ავაზაკურმა საქციელმა განათლების მინისტრის პოსტზე გამოიწვია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების დანგრევა და დღეს, ვისაც არ უნდა შეეკითხო, ყველაზე დაბალი სწავლების დონე არის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიას, მე ვფიქრობ, რომ წესრიგი უნდა დამყარდეს, დამსახურებული მეცნიერები სამეცნიერო კათედრებს უნდა დაუბრუნდნენ. ნაცკომისრები კი უნდა განდევნონ უნივერსიტეტის კედლებიდან. ამას რადიკალური ლონისძიებები სჭირდება ახალი მთავრობის მხრიდან და ეს აუცილებლად და სასწრაფოდ არის გასატარებელი. ამიტომ, მე ვთვლი, რომ ეს კანონპროექტი აბსოლუტურად ლოგიკურია და ლოგიკურია იმიტომ, რომ წითელი კომისრებისგან გაინმინდოს უმაღლესი სასწავლებლები და რეალურად დაუბრუნდეს უმაღლეს სასწავლებლებს ის სტატუსი და ის ფუნქცია, რომელიც მას ჰქონდა და შემდგომში უკვე უნივერსიტეტების სამეცნიერო საბჭოებმა თვითონ აირჩიონ თავიანთი ხელმძღვანელობა რექტორების სახით.

— საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილის პოზიციას რითი ხსნი?

— მე იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ივანიშვილის ავტორიტეტით მოხვდნენ პარლამენტში, ნურავის წუ-

და არავის არ მიუცია ხმა და ეს მინდა კარგად დაიმახსოვრონ ამ ადამიანებმა, ივანიშვილის ავტორიტეტით მოხვედრილმა ადამიანებმა პარლამენტში. თქვენ ივანიშვილის მეოხებით მიიღეთ ისეთი თანამდებობები, რასაც ყველაზე ფერად სიზმარშიც კი ვერ ნახავდით. მათ ერთ რამეს ვეტყვოდი, ჯერ ერთი, უმადურობა ძალიან ცუდი საქციელია, არც დალატი არ არის მოსაწონი საქციელი. მაინცდამაინც პრემიერ ივანიშვილისთვის ძალის დემონსტრირებას თუ გეგმავენ, ეს სხვაგან შეუძლიათ გააკეთონ და არა იქ, სადა ხელისგულზე ჩანს და ნათელია ყველაფერი. ამ პოლიტიკოსებს აქვთ ამბიციის იმისა, რომ შეაშინონ პრემიერი. მას აჩვენონ დღეს ძალა და უთხრან, რომ ისინი არიან ანგარიშგასაწვეი ძალა და ივანიშვილი უნდა დაემორჩილოს მათ ნება-სურვილს. ეს შიდა ბრძოლას ნიშნავს და მისი ერთი ასპექტია. დიას, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ მათ სურთ შეაშინონ პრემიერი ივანიშვილი.

— რამდენად შეეშინდება ივანიშვილს მათი?

— ივანიშვილი წარმოუდგენლად ძნელად დასაშინებელი ადამიანია და მე არ ვურჩევდი ამ ადამიანებს, ივანიშვილის გუნდის წევრებს, ივანიშვილთან შანტაჟის ენაზე საუბარს. ეს მათი გადასაწყვეტია, მათ შეუძლიათ, რაც უნდათ, ის გააკეთონ, მაგრამ მეორე მხრივ, ცოტათი უცნაურია, რომ „ქართული ოცნების“ გუნდის წევრები დღეს ემიჯნებიან პრემიერ ივანიშვილის და განათლების მინისტრის, საპრეზიდენტო კანდიდატის, მარგველაშვილის პოზიციას და არიან ნაციონალური მოძ-

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდა. შეხვედრა გიორგი პაპუაშვილთან საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა.

თავდაპირველად ბიძინა ივანიშვილი გიორგი პაპუაშვილს პირისპირ შეხვდა, შემდეგ კი გაიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებთან გაფართოებული შეხვედრა.

პრემიერ-მინისტრს საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის შესახებ ინფორ-



ბიძინა ივანიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოზე პოლიტიკური ზეგავლენის მხდევლობას ვერ გავხედავთ“

მაცია მოსამართლეებმა პირადად გააცნეს. პრემიერ-მინისტრი მოსამართლეებს დაჰპირდა, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებლობას.

„ჩემი და ჩემი გუნდის მხრიდან გამოვთქვი რწმუნებულება, რომ ვერცერთ შემთხვევაში ვერ გავხედავთ პოლიტიკური ზეგავლენის მცდელობას საკონსტიტუციო სასამართლოზე და საერთოდ სასამართლოზე. მისასაღმებელია ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სუფ-

თად დარწმუნდით იმ კითხვების მიღმა, რაც არსებობს საზოგადოებაში სასამართლოს მიმართებაში. გიორგისგან გავიგე, რომ 2014 წლიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იქნება თავმჯდომარე ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოების. ეს სასამართლო და უფრო მეტად აწვეს ჩვენი ქვეყნის იმიჯს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მომავალში მოსამართლეების ხელდასისა და მათი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა იგეგმება.

მედიანოუსი

ახალი თაობა

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი
 მთავარი რედაქტორი — სოხო გოგინაშვილი
 რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
 რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგვილი

განუთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

კონსულტანტები
 ითარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
 საინჟინერო სამსახური — ჯორჯ ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
 გავრცელების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი
 დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკავალდება — ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №50, მე-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
 რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განუხილავი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიწესტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



„სტუდენტებს ვერ მოგვეჩვეოთ!“

ნათია სურცილავა

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს აპროტესტების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ნაწილი.

ლები შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებების განსაკუთრებით იმ მუხლს აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის საბჭოების ფუნქცია მცირდება და პრემიერ-მინისტრს ეძლევა რექტორის დანიშვნის უფლება. ისინი უნივერსიტეტებისთვის მეტ ავტონომიას და თავისუფალი სწავლის საშუალებას ითხოვენ.

ასევე აქციაზე გახდა ცნობილი, რომ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება და პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, ის სასამართლოში გასაჩივრდეს.

სტუდენტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინ შექაზილებით სკანდირებდნენ: „თა-

პირდაპირ ჩვენთან არის კავშირში, რაც პირადად ჩვენ გვეხება, იმის შესახებ ჩვენ არაფერს გვეკითხება და სადაც „მაღლა“ ვილაპარაკებთ, გვადანყვებიან. ეს არ არის ლიბერალური, 21-ე საუკუნის დასავლური დამოკიდებულება, ეს უფრო ტოტალიტარულ აზროვნებას ჰგავს. ამიტომ მიჩნდება პროტესტი. იქნება მე ვეთანხმები ამ ყველაფერს, მაგრამ თანამონაწილეობაზე რატომ გვითხრეს უარი? ეს არ მესმის. მეორე, რაც ძალიან არ მომწონს, ეს პრემიერის ჩარევაა. არავითარ შემთხვევაში არც პრეზიდენტს, არც პრემიერს არავის, გარდა საუნივერსიტეტო საზოგადოებისა, არ ესაქმება უნივერსიტეტის საშინაო საქმეებში. ეს ალიკმება, როგორც ავტონომიის არარსებობა ან სუსტ ავტონომიად. 21-ე საუკუნეში თავისუფალი, ავტონომიური, დამოუკიდებელი უნდა იყოს უნივერსიტეტი თუ, რასაკვირველია, ჩვენ მივიხსნათ დასავლური საუნივერსიტეტო განათლების კენ. თუმცა, ვფიქრობ, შექმნილი სიტუაციიდან არსებობს გამოსავალი და ეს დაილოცა, პოზიციების ურთიერთშეჯერება. სწორედ ასეთი გზით უნდა გადაწყვედეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც უმაღლესი გა-

გიორგი მარგველაშვილი მიესალმება სტუდენტების აქტიურობას. მისი განცხადებით, სტუდენტები, რომლებიც თავიანთ პოზიციას ხმამაღლა გამოხატავენ, მისასალმებელია.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, კარგი იქნებოდა, ყველამ უფრო სიღრმისეულად ჩაიხედოს ცვლილებებში, რომელიც იგეგმება.

ასე გამოეხატა მარგველაშვილი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილ აქციას.

– ყველა ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. მეტიც, მისასალმებელია, როცა სტუდენტები ღიად აფიქსირებენ თავის აზრს. სასურველი იქნებოდა, უფრო სიღრმისეულად ჩაიხედოს ყველამ იმ ცვლილებებში, რომელიც ხორციელდება. თავისთავად, კარგია აზრის გამოხატვა, ეს დემოკრატიის ნაწილია, – განაცხადა მარგველაშვილმა.

– პრობლემაა, რომ ისტერიას შედეგი მოჰყვება, ისტერიასთან დიალოგი ძალიან რთულია. რაც შეეხება სტუდენტების აქციას, მე შევესალმები სტუდენტების პოლიტიკურ აქტიურობას. ვისურვებ, რომ მათი პოლიტიკური აქტიურობა უფრო შინაარსობრივი იყოს. თავისთავად კარგია აზრის გამოხატვა, ეს დემოკრატიის ნაწილია, – ეს განაცხადა განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტების მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე გამართულ აქციას-

ცოცხალი ჯაჭვი ორ უნივერსიტეტს შორის



გუშინ ილიას უნივერსიტეტის წინ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართა. სტუდენტები „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს აპროტესტებენ.

საპროტესტო აქციაზე, რომელიც ილიას უნივერსიტეტის წინ მიმდინარეობდა, სტუდენტებმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს და ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან გადმოინაცვლეს.

აქციის მონაწილე სტუდენტები კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტის მოზადებაში აქტიურ ჩართვას ითხოვენ.

– ჩვენ ვითხოვ შეწყდეს ამ კანონის განხილვა და მიღება. შემდეგ გაგრძელდეს დისკუსიები და კვალიფიციური მსჯელობები შესაბამის ჩართულ მხარეებთან. თუ ეს ყველაფერი არ განხორციელდება, ჩვენ იძულებული ვიქნებით, ვფრთხილოთ ამ კანონპროექტის ინიციატორ მთავრობას სამოქალაქო და საკონსტიტუციო სასამართლოში, – განაცხადა ილიას უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ასისტენტ-პროფესორმა ნათია გაბრიჩიძემ.

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებმა „აკადემიური სოლიდარობის ჯაჭვი“ შეკრეს, რომელსაც ილიასის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა სტუდენტებთან ერთად პროფესორ-მასწავლებლების ნაწილიც შეუერთდა.

სტუდენტებმა, რომლებიც უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს აპროტესტებენ, განათლების სამინისტროსკენ მსვლელობით გადმოინაცვლეს.

სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, მედიკოსების გამზირის გავლით განათლების სამინისტროსთან მივიდნენ და თავიანთ პოზიციას კიდევ ერთხელ დააფიქსირეს.

სტუდენტებმა განათლების სამინისტროსთან თავიანთი პლაკატები გააკრეს, სადაც მათი მოთხოვნება დაფიქსირებული. მათ სამინისტროს წინ ხეებზე პლაკატები გააკრეს შემდეგი წარწერით: „ნუ ახდენს სწავლის ოკუპაციას“, „არ მიიღოთ ანტისახელმწიფოებრივი კანონი“, „სტუდენტებს ვერ მოგვეჩვეოთ“.

ვისუფლება“ და „გაუმარჯოს დამოუკიდებელ უნივერსიტეტს“.

განათლების სამინისტროსთან მოხილვებული იყო საბატრულო პოლიცია, რომელიც სიტუაციას აკონტროლებდა. პოლიციელები მოუწოდებდნენ აქციის მონაწილეებს, რომ სატრანსპორტო მოძრაობა არ შეეფერებინათ და მხოლოდ ტროტუარზე განლაგებულიყვნენ.

აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ეს ცვლილებები, რომელიც ხორციელდება, მნიშვნელოვნად შეზღუდავს უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიას.

სტუდენტებმა თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს:

გიორგი მახათაძე სტუდენტი: – უნივერსიტეტის ავტონომია უნდა დაცულიყოს. ჩვენ ამისთვის ვართ მონადეხები. ყველას უნდა დაეანახოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი იმსახურებს, რომ სანამ გადამწყვეტილებას მიიღებენ, შეგვეკითხოთ მაინც, გვასურს კი ეს ცვლილებები? უნივერსიტეტის ავტონომია ჩვენი უმთავრესია. თუ მისას მერ დანიშნული მაგისტრანტი არ მოგვწონდა, ასევე არ მოგვწონს ბიძინას მიერ დანიშნული რექტორი. მიგვაჩნია, რომ უმჯობესია უნივერსიტეტმა თავად გააკეთოს არჩევანი, ეს არჩევანი თუნდაც მცდარი იყოს. მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს საუნივერსიტეტო ცხოვრება პოლიტიკური ჩარევებისაგან.

ქეთევან სალაძე, სტუდენტი: – ეს კანონპროექტი სრულიად მიუღებელია სტუდენტებისთვის, რადგანაც თითქმის არღვევს ჩვენს უფლებებს. ეს კანონპროექტი ავტონომიის შეზღუდვასთან არის დაკავშირებული. მიმაჩნია, რომ ახალი კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ჩვენ გარეშე არ უნდა იყოს მიღებული. ჩვენ პირდაპირ გვეხება ეს კანონი და ამიტომ ჩვენი მოსაზრებებიც, ჩვენი დამოკიდებულებაც უნდა იყოს გათვალისწინებული. ჩვენ ვსწავლობთ ამ უნივერსიტეტებში.

ნიკა გაბრიჩიძე, სტუდენტი: – ჩვენი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მე მომწონს. მიმაჩნია, რომ ის თანამედროვე ტიპის ადამიანია, აზროვნებს ძალიან ლიბერალურად და თანამედროვედ. მომწონს მისი აზროვნების სტილიც, მაგრამ არ მომწონს, რომ ის არც



ნათლება ჰქვია.

სტუდენტების აქციას გუშინ ილიას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც შეუერთდნენ. ისინი მოითხოვენ, საკანონმდებლო ორგანოში დროებით შეჩერდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების განხილვა.

გიგა ზედანი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი:

– ცვლილებები, რომელიც კანონში შედის, ფაქტურად ზღუდავს უნივერსიტეტის ავტონომიას. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ეს ცვლილებები შეჩერდეს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონზე მუშაობა სხვა ფორმატში უნდა წარიმართოს. ფორმატით, სადაც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული მხარეები. მუშაობა ძალიან ინტენსიური უნდა იყოს და მასში იმ ადამიანების მოსაზრებები უნდა იქნას გათვალისწინებული, რომლებიც ეს ცვლილებები უშუალოდ ეხებათ.

გიორგი გაბელაძე ილიას უნივერსიტეტის პროფესორი:

– სახელმწიფო უნივერსიტეტების ავტონომიისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის დროს იყო დაწყებული. ასევე დღევანდელი განათლების მინისტრის სტუდენტობის დროს, რომელსაც თითო თითზე არ დაუყარებია, რომ უნივერსიტეტი ავტონომიური გამხდარიყო. დღეს კიდევ გრძელდება ბრძოლა უნივერსიტეტის ავტონომიურობისთვის.

თან დაკავშირებით განაცხადა.

მინისტრის თქმით, ნებისმიერ ადამიანს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება და მისასალმებელია, როდესაც სტუდენტები გამოიღიან და ღიად აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას.

– სასურველი იქნებოდა უფრო სიღრმისეულად ჩაიხედოს ყველამ იმ ცვლილებებში, რომელიც ხორციელდება. თავისთავად კარგია აზრის გამოხატვა, – ამბობს მარგველაშვილი.

მარგველაშვილმა უფროსი სტუდენტების განცხადება, რომ მთავრობა მზად არის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით ნებისმიერი აზრი მოისმინოს. ეს განცხადება მინისტრმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა ნაწილის უარყოფით მოსაზრებებთან დაკავშირებით გააკეთა.

– ჩვენი ხელისუფლება ორიენტირებულია ცვლილებებზე და არა პიროვნულ ან პოლიტიკურ დევნაზე. თუ არსებობს რაღაც აზრი, ნებისმიერ დროს მზად ვართ, ეს აზრი მოვისმინოთ როგორც უმრავლესობისგან, ასევე უმცირესობისგან, მაგრამ აზრს უნდა ახასიათებდეს აზრი და აზრი არ შეიძლება იყოს ემოცია. ნებისმიერი აზრის მოსმენა ჩემთვის საინტერესოა, მაგრამ ისტერიის მოსმენა ცოტა ძნელია, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მაია ნათაძე: „რეალური მალაკალიფიციური, მოაზროვნე მასწავლებელი უნდა იყოს“

ნათია სურცილავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავის ეხმზე განვითარებულ მოვლენებში აქტიური მონაწილეობას იღებდა პროფესორი მაია ნათაძე. ის ამბობს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები მას მოსწონს და იმედი აქვს, რომ ხედავს, რომელიც უსოდენ სტიქდება ქათულ უმაღლეს სისტემას, აუცილებლად ნახმატებით განხორციელდება.

ინტერვიუ პროფესორ მაია ნათაძესთან:



– ქალბატონო მაია, როგორ აფასებთ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს? რას იტყვით, რა დადებითი მოტანა შეუძლია უნივერსიტეტისთვის ამ ცვლილებებზე?

– ეს კანონპროექტი რომ გამოჩნდა, შევბოხებული ვიყავი, რადგან ვითარება წარმოუდგენლად რთული იყო. მათთვის მოქმედებასთან გვეკონკრეტოვებოდა საჭმე. ხუთმა თუ ექვსმა ადამიანმა თავი ინტერესებით მოგვახვია თავს. ეს არ იყო არავითარი რეფორმა, ეს იყო დეფორმაციის ქერიოდი. ახლა ვხედავ, რომ იწყება პროცესი ქართული აზროვნების, განათლების, მეტიც, პიროვნული გადარჩენის პროცესი. ბოლო პერიოდში განათლება სრულიად კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. კორუფცია მოგვსებოდა, ისეთი კორუფცია იყო, რომელიც არ დაეხიზმრება არავის. ეს იყო სულ სხვა ტიპის კორუფცია. საინტერესოა, ხანაია? მხოლოდ შიგადაშიგ დარჩა რამდენიმე ჯანსაღი ელემენტი. ეს იყო სულ რამდენიმე, თითქოს ჩამოსთავილი მასწავლებლები. თითქოს კონკურსით დაკომპლექტდა აკადემიური შემადგენლობა, მაგრამ ეს იყო არა აკადემიური კონკურსი, არამედ იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონკურსი. უმრავლესობის აკადემიურ დონეზე საუბარი რთულია. თუმცა, რასაკვირველია, გამოინაკლის იყო. გარდა ამისა, ილიას უნივერსიტეტის იდეოლოგიაზე უნდა ვთქვა. წლების განმავლობაში მომწინააღმდეგე იდეოლოგია იყო. ეს არის ანტიკულტურული იდეოლოგია, თუმცა, ჩემდა გასაკვირად, პირიქით არის საუბარი. ეს ანტი-ნიეობრივი ცნობიერებაა.

– როგორი წარმოდგენათ ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი? გარკვეული კანდიდატები უკვე სახელდება...

– რექტორი, მალაკალიფიციური, მოაზროვნე მეცნიერი უნდა იყოს. მით უმეტეს, როდესაც გაყოფილია ფუნქციები – ადმინისტრაციული და მეცნიერულ-კულტურული. რექტორი წარმოსადგვი პიროვნება უნდა იყოს, განა გარეგნულად, რასაკვირველია, შინაგანად. კულტურით, განათლებით, აზროვნებით, მაღალი იდეალებით, ზნეობით გამორჩეული პიროვნება უნდა იყოს უნივერსიტეტის რექტორი. ადმინისტრატორის, კანცლერის შემთხვევაში, ცხადია, მოთხოვნები ასეთი არ არის. თუმცა, უფროსი, გაუნათლებელი პიროვნება არსად არ უნდა იყოს წარმოდგენილი, მით უფრო, მომავალი თაობის, უნივერსიტეტის წიაღში.

– ახალ არჩევნებს იმედინად უყურებთ?

– ასეთი განწყობა მაქვს. გარდამავალ პერიოდში ცხადდება კონკურსი და შემდეგ არჩევნები უნდა ჩატარდეს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ გამოცხადდება ღია კონკურსი და არამხოლოდ უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის. ამ კონკურსში სხვა აკადემიური სფეროს წარმომადგენლებიც უნდა მიიღონ მონაწილეობა. რექტორის არჩევნებში თუ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას, მივიღებთ იგივე შედეგს, რაც აქამდე გვექონდა.

– შესაძლებელია მართლაც რეალური რეფორმა გატარდეს?

– რასაკვირველია, შესაძლებელია. მე მომწონს ჩვენი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მარგველაშვილი. მომწონს მისი აზროვნებით, მისი სიტყვებით. დასაწყისში ეჭვი მეპარებოდა, რომ ჰქონდა თუ არა მტკიცე ხასიათი, მაგრამ, როგორც დროს გუჩივნი, მტკიცე ხასიათი აქვს. იმედი მაქვს, ამ სიტუაციით გაიტანს იმას, რაც გასატანია.



18 წლის ახალგაზრდის დაჭრისთვის შსს-ს მაღალრიცხოვანი დააკავეს

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატი გივი თარგამაძე კანონიერების სადარჯოლო დადგა. ბოლო დროს ის ზეპქიურია და კვირაში რამდენჯერმე ამხელს ხელისუფლებას. დეპუტატის მხრიდან ასეთი აქტიურობა მხოლოდ მისასალმებელია, თუმცა, ბუნებრივია, ისმის კითხვა: სად იყო აქამდე გივი თარგამაძე და რატომ არ ახდენდა დარღვევებზე რეაგირებას? მით უმეტეს, რომ მას თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტი თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

ამ პოსტზე ყოფნისას თარგამაძე ქვეყანაში არსებულ ვითარებას ვარდისფერი სათვალთ უყურებდა და ყველა კრიტიკულ განცხადებას რუსეთის მიერ დადგმულ სენარად მიიჩნევდა, საპროტესტო აქციების მონაწილეებს კი სულისამოხდით ეშუქებოდა. ახლა დრო შეიცვალა და გივი თარგამაძე ახალ ხელისუფლებას ჩაუდგა კრიჭანი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ მისასალმებელია და, ურიგო არ იქნება, თუ დეპუტატი ნაციონალურ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასაც მოითხოვს.

გუშინ თარგამაძემ ხმაური კრიმინალური პოლიციის მე-4 სამმართველოს უფროს დავით გელაძის გარშემო ატეხა. დეპუტატმა დავით გელაძე 18 წლის გივი სვანის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობაში დაადანაშაულა.

თარგამაძის განცხადებით, 26 მაისს, დაახ. 22:00 სთ-ზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დავით გელაძე ჭაჭაძის გამზირზე გადაჭარბებული სისწრაფით მართავდა ავტომობილს, რითაც საფრთხე შეუქმნა ფეხით მოსიარულეს, 18 წლის გივი სვანს.

ამ უკანასკნელის აღშფოთების შემდეგ მგელაძემ გააჩერა მანქანა, გადმოვიდა და შევიდა კონფლიქტში აღნიშნულ ახალგაზრდასთან. სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, იცოდა რა, რომ თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირზე მრავალად არის სათვალთვალ კამერები, შსს-ს მაღალრიცხოვან სპეციალურ დასახელებს უფროსი და დაგვიანდა, გასროლამდე მოზარდმა მოასწრო მოძრაობა, რის გამოც ტყვია მოხვდა არა თავში, არამედ მხარში. 22:30 საათზე გივი სვანი, რომლის დაზიანების ხარისხი არის მძიმე, შეყვანილ იქნა რესპუბლიკური საავადმყოფოს „ემერჯენსის“ განყოფილებაში, რაზეც არსებობს მიმდინარე უწყინლო შეხება მისი ჩანაწერი. სვანს ჩაუტარდა ერთი ოპერაცია და უახლოეს დღეებში საჭიროებს მეორეს. მიუხედავად ამისა, მეორე ოპერაციის შემდეგაც ნარჩუნდება ინვალიდობის შანსი. ჩვენ აქამდე ვგვსურდა, დავლოდოთ გამოძიებას, ასევე არ გვიინტერესებდა უწყინლო ამბის შესახებ. დღეს აშკარაა, რომ გამოძიება ადგილიდან არ იძვრის და არანაირი შედეგი არ აქვს. მეტიც, გამოჩნდა დაზარალებულის ბუბის ინტერვიუ, სადაც იგი ამბობს, რომ შსს ცდილობს კვალის დაფარვას, მათ შორის, საავადმყოფოში. თავს მოვალედ მივიჩნევთ, ჩავერიოთ და მოვახდინოთ საზოგადოების, მედიისა და შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება, - აცხადებს თარგამაძე.

დეპუტატის განმარტებით, ინციდენტი დაიწყო თბილისის ცენტრალურ გამზირზე, სადაც მრავალადა სათვალთვალ კამერები და შეუღლებული არ იკვეთებოდა ექვმიტანილი, თუმცა თუ მათი მონაცემები წაშლილია, აუცილებლად უნდა დაისვას შსს-ს შესაბამისი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

რესპუბლიკური საავადმყოფოს „ემერჯენსის“ განყოფილებაში გივი სვანის ავადმყოფობის ისტორიას ასაიდუმლოებენ და ამბობენ, რომ იგი არქივშია გადაცემული. ისტორია უნდა იქნეს გამოთხოვილი არქივიდან, ხოლო თუ ეს განადგურებულია, დაისვას შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი. შსს-ს პრესსპიკერი ნინო გიორგობიანი თავდაპირველად აცხადებდა, რომ დავით გელაძე საერთოდ არ მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში. გელაძის მიერ წელს შეცხადებული დეკლარაციის განმარტების შემდეგ, სადაც სამუშაო ადგილად სწორედ შსს-ს მითითებული, გიორგობიანმა განაცხადა, რომ გელაძემ სამსახური საკუთარი პატივით, ურთიან ორი კვირის წინ დატოვა. დანაშაული მომხდარია დაახ. სამი კვირის წინ, შესაბამისად ამ მო-

მენტისთვის გელაძე იკავებდა შსს კრიმინალური პოლიციის მე-4 სამმართველოს უფროსის თანამდებობას. შსს-მ უნდა დააზუსტოს გელაძის მიერ თანამდებობის დატოვების ზუსტი თარიღი. თუ ეს თარიღი დანაშაულის თარიღზე ადრე ფიქსირდება, მაშინ, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულის მომენტში გელაძე



რას ითხოვს გივი თარგამაძე

თავად აცხადებდა, რომ მუშაობდა ამ თანამდებობაზე, უნდა დაისვას დოკუმენტის გამყალბების პასუხისმგებლობის საკითხი, - აღნიშნა დეპუტატმა.

გივი თარგამაძის ხელთ არსებული ინფორმაციები გივი სვანის ოპერაციის საფასური გადაიხდა დავით გელაძის მეგობარმა და იგივე პიროვნებამ აპირებს მეორე ოპერაციის თანხის გადახდას. დეპუტატის განმარტებით, შსს გივი სვანის მამის მოსყიდვას ცდილობს.

არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გივი სვანის მამის მიხედვით სვანის მიმართ შსს-ს მხრიდან თავდაპირველად იყო გამოყენებული დაშინება და შანტაჟი, ხოლო ამ პერიოდისთვის ხორციელდება მისი მოსყიდვა, რასაც მისი ბუბის მიერ მიცემული ინტერვიუც დასტურებს. გამომდინარე იქიდან, რომ დავით გელაძე არის შსს კრიმინალური პოლიციის უფროსის დავით ბედიას ძველი თანამშრომელი და მეგობარი, მარჯვენა ხელი და მუცელი მოადგილე და იმის გათვალისწინებით, რომ თავად დავით ბედიას ოდიოზური სისო ალავიძის დეიდაშვილი, ხოლო შსს მინისტრის მოადგილე გიორგი ტაბატაძე - ალავიძისავე მარჯვენა ხელი - შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შსს-ს უმაღლეს ხელმძღვანელობაში მოქმედებს კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი კლანი. როგორც ჩანს, შსს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი როდესაც აცხადებდა, რომ ის დაიცავს თითოეულ პოლიციელს, გულსისხმობდა, რომ ის გასცემს ლიცენზიას შევარდნაძის პერიოდისთვის დამახასიათებელ ნებისმიერ დანაშაულზე და ინდულგენციებს დანაშაულის შემთხვევაში. ამას ადასტურებს იმავე ხვედელიძის ფაქტი. მაქსიმალური სასჯელი ნებისმიერი პოლიციელისთვის ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში არის მხოლოდ თანამდებობიდან გათავისუფლება, - აღნიშნა დეპუტატმა.

ნინო ხელისუფლების დროს ასეთი ფაქტები საკმაოდ ხშირად ხდებოდა. მართლაც, როგორც გიორგი ტაბატაძის ისტორია რად დროს. ამაზე გივი თარგამაძეს შეფასების გაკეთებაც არ ისურვა. სამაგიეროდ, ახლა შემოკრა განგაშის ზარებს.

მართლა საგანგაშოა, რომ ქვეყანაში ისევე ხდება ასეთი რაღაცები. ვიღაცებს, ეტყობა, ჰგონიათ, რომ ყველაფერი შერჩებათ. ეს ასე, ალბათ, არ იქნებოდა, ახალ ხელისუფლებას ნაციონალური თვისების მიტევა რომ არ დაეწყო. ბევრი დამნაშავე დღესაც დაუსჯელი დედის. არადა, ხალხმა მეოცნებები სამართლიანობის აღსადგენად აირჩია.

აღდგება თუ არა სამართალი, ვერ გეტყვი. დავით გელაძესთან დაკავშირებით კი შსს-მ ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალრიცხოვანი, დავით გელაძე, რომელიც ადამიანის დაცვის ხელყოფისთვის ექვმიტანილი, დაკავებულია. ამის შესახებ ინფორმაცია მედიას შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამ-

სახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა დაუდასტურა.

დავით გელაძე შინაგან საქმეთა სამინისტროში აღარ მუშაობს. ის ამ დროისთვის დაკავებულია. გელაძეზე სისხლის სამართლის საქმე 117-ე მუხლითაა აღძრული და მას პროკურატურა იძიებს, - განაცხადა გიორგობიანმა.

დავით გელაძის სასამართლო პროცესი გუშინ გაიმართა. სასამართლომ ის პატიმრობიდან გაათავისუფლა. გელაძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განცხადება გააკეთა. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას სრულად გათავისუფლებს.

2013 წლის 14 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკავშირებინა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ დავით გელაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. სასამართლომ დავით გელაძე დაკავებიდან გაათავისუფლა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 15 000 ლარის ოდენობით. გირაოს შეტანის ვადად ბრალდებულს 20 დღე განესაზღვრა. დავით გელაძეს ბრალად ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და-

ზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის. საქმის მასალების მიხედვით, 2013 წლის 26 მაისს, დაახლოებით ღამის 22:30 წუთზე, გივი ს. მისი მართვის ქვეშე მყოფი ავტომობილით მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, ჭაჭაძის გამზირზე, რა დროსაც მათ, ნელი სვლით სამსახურებრივი ავტომობილით გვერდით ჩაუბრუნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს უფროსმა დავით გელაძემ. ამ უკანასკნელმა უკმაყოფილება გამოთქვა გივი ს. და მისი მეგობრების მიმართ ავტომობილის გაღებულ კარის გამო, რომელიც ხელს უშლიდა გადაადგილებაში და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიყენა მათ. გივი ს. ფეხით დადევნა გელაძის მანქანას და გაჩერება მოსთხოვა. დავით გელაძემ ავტომობილს გააჩერა, გადმოვიდა და ცეცხლსასროლი იარაღით გივი ს.-ს მიმართულეობით მოახდინა ერთი გასროლა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა მარჯვენა მხრის არეში მიიღო ცეცხლსასროლი ჭრილობა. აღნიშნულის შემდეგ გელაძე მისი მართვის ქვეშე მყოფი მანქანით მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

სასამართლომ განიხილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო საქმეში წარმოდგენილ მასალებს, შეამოწმა შუამდგომლობის დასაბუთებულობა, ასევე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები და მიიჩნია, რომ შუამდგომლობა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ბრალდებულის დაკავებისას დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები. შუამდგომლობაზე თანდართული მასალებით დადგინდა რომ, დავით გელაძე გამოცხადდა თბილისის პროკურატურაში და მონაწილე სახით დავით გელაძის აღიარა ბრალის ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლო განჩინების გარეშე, პირის დაკავება მოხდა მაშინ, როდესაც არ არსებობდა პირის დაკავების გადაადგილებული აუცილებლობა, რაც წარმოადგენს დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლების საფუძველს. ასევე, პროკურატურის მიერ სათანადოდ ვერ იქნა დასაბუთებული ყველაზე უფრო მაკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გირაოს გამოყენების პირობებშიც მიღწეულ იქნება აღკვეთის ღონისძიების მიზნები. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ბრალდებულს ბრალად ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, წარსულში არ არის ნასამართლევი და წლების განმავლობაში მუშაობდა პასუხისმგებ თანამდებობებზე, - ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 31 ივნისს გაიმართა.

ვაჰაგან ჩახალიანი სააკაშვილსა და ხაჩიძეს სასამართლოში უჩივის

შორენა მარსაგიშვილი

ვაჰაგან ჩახალიანის სახელი ჩვენი საზოგადოებისთვის ახლაც ახის ცნობილი. ის ჯავახეთში აქტიურად მოღვაწეობდა და ხშირად ანტიკაჟოტ განცხადებებს აკეთებდა. ფაქტობრივად მას შემდეგ დააკავეს 2005 წლის ივნისში გაიყვანა. მათ შორის ერთ-ერთი ეხებოდა სასამართლოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალის დახლებას. მისმა მხარდამჭერებმა ჩახალიანის დაპატიმრება დაგეგმეს და პოლიტიკურად მოტივირებული შედეგის მიღწევას.

25 იანვარს გამართულ სატელევიზიო ბრიფინგზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ჩახალიანის გათავისუფლება ქვეყანას ძალიან უარყოფით შედეგებს მოუტანს.

როგორც გაირკვა, ეს ადამიანი გათავისუფლებული სომხეთის კათოლიკოსის გარეგნე მგორის თხოვნით, რომლითაც მან მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

ხელისუფლებამ შეცვალა ჩახალიანის კარგად წაადგა. ის ციხიდან პოლიტიკატიმრის სტატუსით გამოვიდა. მან ნაციონალური აღშფოთება გამოიწვია. მიხეილ სააკაშვილი, გოგა ხაჩიძე და ვანო მერაბიშვილი აღშფოთების გამომხატვაში ერთმანეთს ეცილებოდნენ.

მათმა აღშფოთებამ, ეტყობა, ჩახალიანიც აღაშფოთა. ის და სამეფოს ნინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

სომხური მედიის ცნობით, „ჯავახის“ აქტივისტი ვაჰაგან ჩახალიანი აპირებს, მიხეილ სააკაშვილს, უსაფუძვლო ბრალდებების გამო, სასამართლოში უჩივლოს. ამასთანავე, ჩახალიანი აპირებს, სასამართლოში ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილსა და სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორ გოგა ხაჩიძეს უჩივლოს.

პოლიტიკატიმარი ვაჰაგან ჩახალიანი 2013 წლის 24 იანვარს ამინსტიით გათავისუფლდა. ჩახალიანი 2008 წელს, მასობრივი არეულობის მოწყობისა და ხელიგნობის ბრალდებით დააკავეს.

ჩახალიანის გათავისუფლებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღშფოთება გამოთქვა და განაცხადა, რომ ჩახალიანი „რუსული სპეცსამსახურების მთავარი რეზიდენტი“, „შიდა მტერია“ და ა.შ.

ამასთანავე, პრეზიდენტმა არ გამოიხატა, რომ ჩახალიანის მიერ არეულობის მოწყობა ბაქო ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შეფერხებას იწვევდა მიზნად.

თავის მხრივ, ჩახალიანმა ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებას დეზინფორმაცია უწოდა. ვაჰაგან ჩახალიანის გათავისუფლება, რომელიც სასჯელს იარაღთან შეიარაღებულ ხელიგნობის დარღვევასთან დაკავშირებული ბრალდებების გამო იხდოდა, დაგმო პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელმაც ამ აქტივისტს ჯავახეთის რეგიონიდან „საქართველოს სახელმწიფოს მტერი“ უწოდა.

საკაშვილმა განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჩახალიანი რუსეთის „სამებლად“ გაათავისუფლებინა.

ჩახალიანი 24 იანვარს ამინსტიის შედეგად გამოვიდა ციხიდან, მას შემდეგ, რაც ანალიზის სასჯელიდან დაახლოებით 4.5 წელი მოიხადა.

ჩახალიანი, რომელიც ახალქალაქში არსებული იმ დაჯგუფუ-

ბის წევრი იყო, რომელმაც რამდენიმე საპროტესტო აქცია მოაწყო 2005 წელს რუსეთის სამხედრო ბაზის ახალქალაქიდან გაყვანის წინააღმდეგ და რომელიც ჯავახეთის რეგიონის ავტონომიისკენ მოუწოდებდა, 2008 წლის ივნისში დააპატიმრეს და თავდაპირველად იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებამ დააკავეს მას ხელიგნობასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან და დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებით დამატებით ორი ბრალდება წაუყენეს 2005 და 2006 წლებში მომხდარი ინციდენტების გამო, მათ შორის ერთ-ერთი ეხებოდა სასამართლოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალის დახლებას. მისმა მხარდამჭერებმა ჩახალიანის დაპატიმრება დაგეგმეს და პოლიტიკურად მოტივირებული შედეგის მიღწევას.

25 იანვარს გამართულ სატელევიზიო ბრიფინგზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ჩახალიანის გათავისუფლება ქვეყანას ძალიან უარყოფით შედეგებს მოუტანს.

როგორც გაირკვა, ეს ადამიანი გათავისუფლებული სომხეთის კათოლიკოსის გარეგნე მგორის თხოვნით, რომლითაც მან მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს.



ვაჰაგან ჩახალიანი

მე მოვისმინე საქართველოს პრემიერ-მინისტრის განმარტება ამ თემაზე და სრულიად არადადაკმაყოფილებლად ჩავთვალე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვერ გაეცემა პასუხისმგებლობას იმაზე, რა გადაწყვეტილებაც მოლიანდა, ერთპიროვნულად მან მიიღო და ეს არის ძალიან მძიმე პასუხისმგებლობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ნინააღმდეგ. მან, მე ვფიქრობ, დაუშვა ძალიან მძიმე გადაწყვეტილება, რომელიც ძალიან მიმედ შემოუბრუნდება ქართველ ერს, საქართველოს სახელმწიფოებრივობას უახლოესი კვირების, თვეებისა და წლების განმავლობაში. ამ ადამიანს, ჩახალიანს - და მე არ მინდა ხაზი გავესვას, მისი ეთნიკური წარმომავლობა, იმიტომ რომ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ ეს კაცი არის ძალიან კონკრეტული წარმომადგენელი არა სომხეთის, იმიტომ, რომ სომხეთის ინტერესებში არ შედიოდა მისი 6 წლით ადრე გარეთ გასვლა და მე ეს ძალიან კარგად ვიცი, იმიტომ, რომ ძალიან კარგად ადვილ ხნის ურთიერთობები მაქვს ჩვენს სომხ კოლეგებთან, სომხეთის პატრიოტებთან, სომხეთის ლიდერებთან, ეს ადამიანი არის რუსეთის სპეცსამსახურების პირდაპირი რეზიდენტი, წარმომადგენელი საქართველოში. ის მუშაობდა წლების განმავლობაში რუსეთის გრუს რეზიდენტურასთან, მან დაარბია საქართველოს ეკლესიის ეპარქია ახალქალაქში, მან დაარბია ქართული უნივერსიტეტი ახალქალაქში, მან დაარბია საქართველოს გამგეობა ახალქალაქში, მან დაარბია ქართული პოლიცია ახალქალაქში, ის წინააღმდეგობა საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაადგილებას ახალქალაქში და ის წინააღმდეგობა რუსეთის სამხედრო ბაზის გასვლას ახალქალაქიდან, - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა მამინ სხვა ბევრი რამეც თქვა. განცხადებით მერაბიშვილმა და გოგა ხაჩიძემ გააკეთეს. ამ განცხადებების გამო მათ, შესაძლოა, სასამართლოში მოუხდეთ წასვლა.



ზაურ ქორთოშია: „ჩვენს სახლში ტერორისტებს არასდროს უცხოვრიათ“

შორენა გონგლაძე

პეტიციონერის მიმართ სამართლებრივი ექსპერტის დახმარების საფუძველი ახ ახის - ამის შესახებ გუშინ მთავრობის პრესსპიკერმა ახილ ქობულაძემ განაცხადა. ექსპერტის თქმით, ის ფაქტი, რომ ზაურ ქორთოშიის სახლში ტერორისტების მცდელობაში ექსპერტის მიხედვით, მათ არც ერთი კადრები არ არის შენახული.

ლად ტოვებდა საქართველოს ტერიტორიას. განცხადების ეს აზრები ნამდვილად ინტერესს გავრცელებს და დაუცველობის განცდას. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ასევე კითხვის ნიშნის ქვეშაა. სულ რამდენიმე დღეა გასული, რაც ინტერნეტსაიტებზე მუქარის შემცველი ვიდეორგოლი გავრცელდა, რასაც დაემთხვა ავღანეთში ქართველ სამხედროებზე განხორციელებული თავდასხმა, რომლის დროსაც შვიდი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. გავრცელებული ვიდეორგოლის წარმომავლობის გარკვევას საპარლამენტო თუ

ციით, მიკაელ კადიევი და რიზვან ომაროვი ცხოვრობდნენ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერაა დაქირავებული. ეს სამსახური პრემიერის დაქვემდებარებაშია. არანაირ პრეზიდენტის პირად მფრინავზე ლაპარაკი არ არის - აცხადებს ბარნოვი და საეჭვოდ მიიჩნევს იმას, რომ პუტინის განცხადება ქართველი და რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლობის შესახებ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს დროში დაემ-

ყოფიდა, თანხით დახმარებოდა და 150 დოლარი მიემცა. ერთხელ ამ მიზნით შეხვედნი, მეორედ - ჩემი შვილის სახლში, ხოლო ბინა მას ჩემმა ძმამ 2012 წლის ბოლოს ან 2013 წლის დასაწყისში აშოვნა. ჩემს ძმას იგი თავად დაუკავშირდა და შავი ზღვის ქუჩაზე ერთ-ერთ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად, - განაცხადა ზაურ ქორთოშიამ.

მისი თქმით, არც ის ინფორმაცია შესაბამისად სიმართლეს, რომ კადიევი მის ბინაში დააკავს და ასაფეთქებელი ნივთიერებებიც იქიდან ამოიღეს. ზაურ ქორთოშიის განმარტუ-



არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები დაუინტერესდნენ, განხილეს ვერსიებიც, თუმცა დღეს ეს ამბავი უკვე აღარაა ახსოვს, ერთი სკანდალი მეორემ გადაფარა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ მოულოდნელმა განცხადებამ პრეზიდენტის ადმინისტრაციას იმდენად დააბნია, რომ ანდრობარნოვმა საერთოდ უარყო ზაურ ქორთოშიის პრეზიდენტთან ყოველგვარი კავშირი. როგორც ანდრობარნოვმა განაცხადა, ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა და გამიზნული პროვოკაციული ფორმულირება, რათა პრეზიდენტის სახელი რამენაირად დაუკავშიროს ამ საშინელ ფაქტებს. მისი თქმით, აღნიშნული პირი, ზაურ ქორთოშია, არ არის არც პრეზიდენტის პირადი მფრინავი და არც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უშუალო თანამშრომელი. იგი არის სხვისი მიერ დაქირავებული კომპანიის „თუშეთის“ მფრინავი და ზემოაღნიშნული ინფორმაციის გავრცელება მიზნად ქართველი საზოგადოებისა და ჩვენი სამხედროების მიმართ მუქარის შემცველი ვიდეორგოლების წარმომავლობის საკითხების გადაფარვას ისახავს.

საეჭვოა, როცა, ერთი მხრივ, ქვეყანაში მიდის ეს სრულიად გაუგებარი რაღაცები და, მეორე მხრივ, პუტინი ქართული და რუსული სპეცსამსახურების ახლო თანამშრომლობაზე საუბრობს. ქართველი საზოგადოება, იმედია, ადეკვატურად აღიქვამს ფაქტებს, - აცხადებს ანდრობარნოვი.

რაც შეეხება ავიაკომპანია „თუშეთის“ დირექტორ ზაურ ქორთოშიას, მისი თქმით, ტერაქტის მცდელობისთვის დაკავებულ მიკაელ კადიევს მის სახლში არასოდეს უცხოვრია და მასთან შორეული ნაცნობობა აკავშირებდა. ზაურ ქორთოშია ეხმარება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ანდრობარნოვის განცხადებას, თითქოს ქორთოშიამ წარმოშობით ქისტია.

როგორც ზაურ ქორთოშიამ აღნიშნა, იგი ქისტი არ არის. მამამისი წარმოშობით დალესტელია, ექვსი წლიდან საქართველოში იზრდებოდა, თავად ზაურ ქორთოშია და მისი ძმები საქართველოში დაიბადნენ და გაიზარდნენ.

ზაურ ქორთოშიის განცხადებით, მიკაელ კადიევი მამამისის დალესტელი ახლობლის შვილია და პირველად 2011 წელს შეხვდა.

მამაჩემს დალესტინიდან დაუკავშირდა თავისი ახლობელი, რომელმაც უთხრა, რომ ახლობლის შვილი, რომელიც სპორტსმენია და თბილისში ვარჯიშობს, ბინას ეძებს და დახმარებოდა. მამაჩემმა მიიხრა ამის შესახებ და მისი თხოვნით გადავწყვიტე, დავხმარებოდი. 2011 წელს ჩემი შვილი, რომელიც ასევე მფრინავია, იმყოფებოდა საზღვარგარეთ. მასაც მოუყვებინა მამაჩემის თხოვნის შესახებ და მიიხრა, რომ სანამ ჩამოვიდოდი, მის სახლში შემეშვა, შემდეგ კი ბინა მოგვეძებნა. სწორედ დაქვადან გამოვლინარე, 3 კვირის განმავლობაში კადიევი ჩემი შვილის ბინაში ცხოვრობდა და დადგმული სპექტაკლი მიმართულია იქითკენ, რომ მოეცინებოდა პრეზიდენტს და უკავშირდებოდა, - აცხადებს ბარნოვი. მისივე თქმით, მედიასი გავრცელებული ინფორმაციაში ნახსენებ კომპანია „თუშეთი“, რომლის მფლობელის სახლშიც, ასევე, გავრცელებული ინფორმა-

ციით, როგორც აქვს ინფორმაცია, ასაფეთქებელი ნივთიერებები და საბრძოლო მასალა სწორედ კადიევის ნაქირავები ბინიდან ამოიღეს, რომელიც შავი ზღვის ქუჩაზე მდებარეობს.

ამასთან, ზაურ ქორთოშია კადიევთან საუბარს იხსენებს. როგორც ის ამბობს, როდესაც თავისი შვილის ბინაში რამდენიმე დღით დააბინავა, ერთხელ შეხვდა მას.

როგორც შეხვედნი, მომესალმა და ქრისტიანულ რელიგიასზე დამიწყო საუბარი, მიიხრა, რომ ვაკეში კლუბ „ფალავანში“ ვარჯიშობდა და ამის შემდეგ იგი ჩადიოდა მეცხრე საავადმყოფოსთან არსებულ ეკლესიაში, სადაც ვინმე მამა გიორგის ბევრს ესაუბრებოდა, - განაცხადა ზაურ ქორთოშიამ.

ამასთან, ავიაკომპანია „თუშეთის“ დირექტორი აცხადებს, რომ მას მიხედავს სააკაშვილთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა.

ჩემი და სააკაშვილის დაკავშირება არასწორია. მე არა მხოლოდ მიხედავს სააკაშვილის, არამედ შევარდნაძის, პატიაშვილისა და ძალიან ბევრის მფრინავი ვიყავი. მე არ ვემსახურებო სააკაშვილს, მე ვემსახურებ საქართველოს, - განაცხადა ზაურ ქორთოშიამ.

შსს-მ ქარული საყაროს ნაპრობისთვის ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული იმედა ა., 1959 წელს დაბადებული ირაკლი კ., 1979 წელს დაბადებული ალექსანდრე მ., 1974 წელს დაბადებული რუსლან ჩ. და 1972 წელს დაბადებული ლევან კ., ქუარული საყაროს ნეკრობის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ხუთივე პირი სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბათუმში ერთდროულად დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ე.წ. „ქუარული ნილების“ მისაღებად აჭარაში ბიზნესმენებზე ზეწოლას ახორციელებდნენ. ყველა მათგანი წარსულში, სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის მრავალჯერ არის ნასამართლევი. გამოძიება ქუარული საყაროს ნეკრობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

უზო-უკვლად დაკარგულთა მოძიებაზე იმსჯელეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი გუშინ, შს სამინისტროში, სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შეხვდნენ. სამუშაო გუგუფის შეხვედრის მიზანი ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განვითარებული კონფლიქტური და საომარი მოქმედებების შედეგად უგზოუკვლად დაკარგული ადამიანების მოძიება იყო.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა უგზოუკვლად დაკარგულ პირთა მოძიების მიზნით, სახელმწიფოს ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბების და შემდგომში გასატარებელი ღონისძიებების მოქმედებების გეგმა განიხილეს.

„მოქალაქეებში უარსადაც დიდი თანხაა დახარჯული“

თბილისის საკრებულოს დეპუტატი მიხეილ ქავთარაძე, მე-4 მოწვევის საკრებულოს მიერ განხორციელებული სამიწიწიერო ხარჯების მიზანმიმართულობას ეჭმევს აყენებს.

მისი განცხადებით, 280 ათასი ლარი მივლინებებში არცერთი მოწვევის საკრებულოს არ დაუხარჯავს.

„ეს საკმაოდ დიდი ციფრია. მე-2 და მე-3 მოწვევის საკრებულოებს ერთად აღებულს არ დაუხარჯავთ ამდენი თანხა მივლინებებში, მაშინაც კი როდესაც საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი იყო. საინტერესოა ისიც, რომ ყველაზე დიდი რაოდენობის ვიზიტებით გამოირჩევა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი. ვიზიტები ზოგადად კარგია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა რა შედეგებით მთავრდება კონკრეტულად იმ ინსტიტუტისთვის, რომელსაც შენ წარმოადგენ და ასევე, რა შედეგებით მთავრდება ჩვენი დედაქალაქისთვის. ჩვენ ნამდვილად არ ვიცით ამ ვიზიტების შედეგები“ - განაცხადა ფრაქცია „თავისუფლების“ წევრმა მიხეილ ქავთარაძემ.

უინ გაუხვამა ჭიპაბაშვილი საქართველოდან

კახეთის გუბერნატორის, ზურაბ ჭიპაბაშვილის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების ფაქტზე კომენტარს აკეთებს მთავარი პროკურორი არჩილ კვიციანი. როგორც მან განაცხადა თუ ჭიპაბაშვილის სასამართლომ გიორგის გარდა სხვა შეზღუდვა არ დაუწესა, გიორგი ცალსახად არ კრძალავს ქვეყნის დატოვებას.

„მისი ალკეითი ღონისძიება, როგორც მახსოვს არის გიორგი. არ ვიცი ზუსტად სხვა შეზღუდვა დაუწესა თუ არა სასამართლომ. თუ სხვა შეზღუდვა არ იყო დაწესებული, გიორგი ქვეყნის დატოვებას ცალსახად არ კრძალავს.“ - განაცხადა მთავარმა პროკურორმა.

კახეთის გუბერნატორის მიერ ქვეყნის დატოვების შესახებ მისი „ფეისბუქის“ ოფიციალური გვერდიდან გახდა ცნობილი. სადაც ნათქვამია, რომ ჭიპაბაშვილი 13-14 ივნისს ანკარაში შეხვედრებს გამართავს, რის შემდეგაც 15 ივნისს საქართველოში დაბრუნდება.

შსს-ში ფარული ჩანაწერების განადგურებაზე იმსჯელეს

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრა გაიმართა. რომელზეც უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების განადგურების თაობაზე იმსჯელდნენ. შეხვედრის დაწყებამდე მედიასთან კომენტარი გახვთ „რეზონანსის“ დამფუძნებელმა ლაშა ტულუშმა გააკეთა, მისი თქმით, სწორედ შეხვედრის შემდგომ შესაძლოა გახდეს ცნობილი განადგურდება თუ არა ჩანაწერები. უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების თემას დღეს მთავარი პროკურორიც გამოეხმაურა. როგორც არჩილ კვიციანი განაცხადა, პირადი ცხოვრების ამსახველი უკანონო ფარული ჩანაწერები, რომლებიც არ შეიცავენ დანაშაულთან დაკავშირებულ ინფორმაციას უნდა განადგურდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე შეხვედრას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი, იმბუდმენტი და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ივანოვი

ივანოვი



„სისხლის გაღება სამკურნალო პროცედურა“

მერი ნამორაძე

გუშინ საქართველოში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა დონაციის მსოფლიო დღე აღნიშნა. წლებიდან დღე სლოგანი ასე უღერს: „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“. ეს დღე უკვე მეთექვსმეტე წელია აღინიშნება, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით დაარსდა და მისი ძირითადი დანიშნულება მეტი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის სიცოცხლის გადასარჩენად სისხლის პროდუქტების მნიშვნელობის შესახებ. ჯანდაცვის მუშაკთა აქტიურმა მონაწილეობამ წელს მასობრივი სახე მისცა სისხლის უანგაროდ გაღების აქტივებს საჯარო სამსახურებსა თუ კერძო სექტორში, თუმცა უანგაროდ დონორობის წილი მინც მინიმალურია საქართველოში.

ქვეყნების უმრავლესობაში, დაახლოებით 60 ქვეყანაში, დონაცია უანგაროდ. დანარჩენ ქვეყნებში დონაცია ხდება ნათესავების ხარჯზე ან უმეტესად კომერციული წესით. 2012 წელს უსაფრთხო სისხლის პროგრამის ფარგლებში მონაწილე სისხლის ბანკების მიერ სულ განხორციელდა 40 900 დონაცია. მათ შორის ფსიაინი დონორი იყო 26 100; ნათესავი დონორი – 11 100; უანგარო კი – 3 700. ამ მონაცემების მიხედვით, უანგაროდ დონაციის რაოდენობა შეადგენს მთლიანი რაოდენობის 9 პროცენტს.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, კომერციული დონაცია არ არის მაინცდამაინც გამართლებული და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოუწოდებს საზოგადოებას, 2020 წლისათვის მთელი მსოფლიო გადავიდეს უანგაროდ დონორობაზე.

საქართველოში არსებული უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად 40-44 ათასი დონაცია ხორციელდება. ასე რომ, სისხლის დეფიციტი მაინცდამაინც ქვეყანაში არ არის, მაგრამ გამყრელიძე პრობლემად მიიჩნევს იმას, რომ ამ 44 ათასიდან მხოლოდ 9%-ია უანგაროდ დონორი.

ჩვენი წლებიდან სამიზენ არის ის, რომ 20%-მდე ავნიშნო უანგაროდ დონორობა და ამიტომ არის საჭირო ახსნა-განმარტება მოსახლეობისათვის, რომ ისინი სისხლის უანგაროდ გაცემისას უდიდეს სოლიდარობას იჩენენ და გადაარჩენენ ადამიანების სიცოცხლეს გაცემული სისხლით, – აღნიშნა გამყრელიძემ.

უსაფრთხო სისხლის პროგრამა ქვეყანაში 1997 წლიდან ამოქმედდა. მანამდე არ იხიანებოდა გადასახსნელი სისხლი ისეთ მთავარ 4 ინფექციაზე, როგორცაა შიდსი, „ცე“ და „ბე“ ჰეპატიტები და ათაშანგი. ჰეპატიტების გავრცელების მაღალი დონე ქვეყანაში განპირობებული იყო სწორედ იმით, რომ 1997 წლამდე შეუმოწმებელი სისხლის გადასხმა ხდებოდა. დღეს ეს საკითხი ბევრად მოწესრიგებულია, თუმცა კიდევ საჭიროებს განვითარებას:

– ჩვენი ცენტრი მართავს ამ პროგრამას და ერთ-ერთ პრიორიტეტულია. ახალ პროგრამაში ერთ-ერთ პირობად ვანგებთ იმას, რომ ყველა სისხლის ბანკს უნდა ჰქონდეს ეგრეთ სიხდებული გარე კონტროლის სისტემა, შიდა კონტროლის გარდა. დამზადებული პროდუქტის ხარისხი უნდა იყოს გარანტირებული და ძალზე უსაფრთხო, – გვითხრა გამყრელიძემ.

გაზრდის თუ არა ეს ინიციატივა სისხლის ბანკების ხარჯებს? გამყრელიძემ დარწმუნებულა, რომ მათი ხარჯები არ გაიზრდება და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მხოლოდ იმ ბანკებთან გააფორმებს ხელშეკრულებას, რომლებსაც გარე კონტროლის სისტემა ექნებათ.

სხვათა შორის, სისხლის გაღება ერთ-ერთი სამკურნალო პროცედურაა, რადგან ამ პროცედურის შემდეგ სისხლმბადი ორგანოების სტიმულაცია და განახლება ხდება. ამიტომ, თუ რაიმე უკუჩვენება არ არის, სასურველია, წელიწადში ერთხელ ადამიანმა გაიღოს სისხლი.

– ამით თქვენ ორ საქმეს აკეთებთ – ერთი, სოლიდარობას იჩენთ თანამემამულეთა მიმართ, რომლებსაც გარკვეულ პერიოდში შეიძლება გაუჭირდეთ და აუცილებელი გახდეს სისხლის გადასხმა ან სისხლის პროდუქტის მიცემა, მეორე მხრივ – ჯანმრთელობისთვისაც კარგია, რადგან ხდება სისხლმბადი ორგანოების სტიმულაცია, – გვითხრა ამირან გამყრელიძემ.

„ეკვლავთან კოჰაბიტაცია არ გვინდა!“

თამარ ნინიძე

სახალხო კრების აღმასრულებელმა საბჭომ გუშინ სასტუმრო „ძველ თბილისში“ სახალხო კრების წევრებთან შეხვედრა გამართა. როგორც მისალოდნელი იყო, შეხვედრაზე ძირითადი საკითხები შეეხო 17 მაისის ინციდენტს რუსთაველის გამზირზე, რუსეთის მხრიდან საოკუპაციო ზოლის გადმოწევის, ავღანეთის მისიასა და სამართლიანობის აღდგენას. ამ უკანასკნელი საკითხის განხილვა უსტიციის საბჭოს დაკომპლექტების თემასთან კავშირში იყო.

სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრ ირაკლი ბათიაშვილის აზრით, ის, რაც 17 მაისს მოხდა, მსჯელობის საგანი იქნება კიდევ კარგა ხნის მანძილზე. მისი აზრით, გეიალუშვილის გამართვის მცდელობა მომავალშიც შეიძლება იყოს და საზოგადოებას ამაზე გამოკვეთილი და მტკიცე პროტესტი უნდა ჰქონდეს. მუდმივი საფრთხეა რუსული აგრესიისგან. მავთულხლართების თემა ახალი არ არის, ბათიაშვილის თქმით, ეს სააკაშვილის დროსაც ხდებოდა, მაგრამ ამას სააკაშვილი მალავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ახლანდელ ხელისუფლებაშიც არ აღმოჩნდა არც ერთი ადამიანი, რომელიც ამაზე უარყოფით რეაქციას მოახდენდა და დაუკავშირებდებოდა რუსეთის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს ახსნა-განმარტების მოსახმენად.

ბათიაშვილი საპრეზიდენტო არჩევნების თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ სახალხო კრებამ ნიშნა ბურჯანაძე რომ წარადგინა საპრეზიდენტო კანდიდატად, ეს იყო კანონზომიერი მოვლენა, საზოგადოება ვერ ხედავს ახალი ხელისუფლებისგან სამართლიანობის აღდგენის მცდელობას, ამიტომ ბათიაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ბურჯანაძე მტკიცედ მოითხოვს ამ პროცესის დაქარბებას და ასევე თავის საგარეო კონტაქტების საშუალებით მხოლოდ დასავლეთი გაკლენას მოახდენს პროცესებზე.

„დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა სახალხო კრების წევრებისათვის და აღ-



ნიშნა, რომ პასუხისმგებლობით ეკიდება სახალხო კრების მიერ მისი პიროვნებისადმი გამოხატულ ნდობას. ბურჯანაძემ სთხოვა სახალხო კრების ყველა წევრს, მიანდონ რჩევები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ვინაიდან სახალხო კრებაში პროფესიონალები არიან განეკუთვნებიან. მათ შეუძლიათ საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით მისთვის რჩევების მიცემა, რაც საპრეზიდენტო პროგრამაში აისახება.

ბურჯანაძის თქმით, აუცილებელია, საშველი დაადგეს ნორა კვიციანი, ია მეტრეველის, იური ვაზაგაშვილისა და სხვა უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანების საქმეების შესწავლასა და გამოძიებას, რომ სიმართლე გაირკვეს და დამნაშავეები დაიპატიოს. ბურჯანაძემ წარადგინა ასევე პარტიის თბილისის ორგანიზაციის ახალი თავმჯდომარე გიგლა ბარამიძე, რომელიც ცხრა წლის მანძილზე იდევნებოდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ.

ბურჯანაძე შეეხო 17 მაისის თემა და განაცხადა, რომ ისეთი ადამიანები გამოდიოდნენ ტელევიზიით აღფრთოვანდნენ, რომლებსაც ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ 26 მაისის სასტიკი დარბევის და იქ მასობრივად ადამიანების უფლებების დარღვევის

ფაქტებზე. „სამწუხაროდ, უნდა განვაცხადო, რომ სასამართლო რეფორმამ სრული კრახი განიცადა. ამან კიდევ ერთ-

ბა გვემართება, არისტოტელე სენეკას ამას ასწავლიდა. მართლმსაჯულების სისტემაში გაუგებარი ვითარება ტრაგიკომიკურია, კუბლაშვილის 15-კაციანი საბჭოდან ცხრა მოსამართლე ცოცხალი ფეხნადგმულია, ერთმა მათგანმა ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოართვა. ეს თავზედური გამოწვევა ახალი ხელისუფლების მიმართ კუბლაშვილის მხრიდან. მეორე მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა მოლაშვილის წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ დამარცხებული პოლიტიკური ძალა ლაფს ცხვრის გამარჯვებულს და მთელ საზოგადოებას. ეს ყოველივე მძლევს იმის კითხვის საშუალებას, ღირს ამ საზოგადოებაში დარჩენა და ცხოვრების გაგრძელება თუ არა“, – ასეთი იყო მინდია უგრეხელიძის მოსაზრება.

სახალხო კრების გუშინდელი სხდომის საერთო პათოსი ის იყო, რომ ამგვარ კოჰაბიტაციას წერტილი უნდა დაესვას. მაგალითად, ელიზბარ ჯაველიძემ თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანას შავი ჭირი მოაცილა, მაგრამ ამ შავ ჭირს კუდები ისევ დარჩა.

„არ მინდა ასეთი კოჰაბიტაცია, რომ მკვლევებთან და მძარცველებთან ვითანამშრომლოთ. ივანიშვილი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს, ერთი მხრივ, საგარეო და, მეორე მხრივ, საშინაო ძალას. საგარეო ძალამ სააკაშვილი დემოკრატიის შექმნად წარმოგვიდგინა, შიდა ძალამ კი ნაციონალისტთან კოჰაბიტაცია გააჩაღა. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ეს ძალა არის რესპუბლიკური პარტია. ეს მაინც სისტემა უნდა დაინგრეს და დავისნათ ბიძინა ივანიშვილი იმ ბადექსოვლებისგან, რომელშიც ის მოაქციეს“, – განაცხადა ელიზბარ ჯაველიძემ.

სახალხო კრების სხდომაზე კვლავ დაისვა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის საკითხი და საუბარი მის აუცილებლობას შეეხო.

მეცნიერმა ვალერი ასათიანმა დამსრუტე შეახსენა ცნობილი გამოთქმა: „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდით“. მას მაინცია, რომ უშიშროების საბჭო საშიშროების საბჭოდ გარდაიქმნა.

სახალხო კრების წევრებმა ნინო ბურჯანაძეს ერთხმად დაუჭირეს მხარი, რომელიც არჩევნების გამართვის მოსაზრება, რომ მხოლოდ ბურჯანაძეს შეუძლია არეული და ქაოსური სიტუაციის დალაგება და ხელისუფლებებს შორის ბალანსი.

ვალერია ნოვოდვორსკაია: „ვინც ცოლს უღალატებს, სამუოგლოსაც უღალატებს“

რუსი ჟურნალისტი ვალერია ნოვოდვორსკაია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მეუღლესთან განქორწინების ფაქტს ეხმაურება და მიიჩნევს, რომ ის ვინც ცოლს უღალატებს, სამშობლოსაც უღალატებს.



„საერთოდ პუტინის პირადი ცხოვრება ჩემი საქმე არ არის. მთავარია მისი ცოლები ციხესიმაგრეში გამოწყვდილი მოჭრილი თავებით არ დარჩები“, – აცხადებს ნოვოდვორსკაია ვიდეო მიმართვაში.

მისი აზრით, რუსეთის ექსპორტული ლედისთვის შეიძლება უკეთესი არის, რომ ქმარს დაშორდეს, თუმცა ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ უმჯობესია იქნებოდა პუტინი ქვეყანას გაყროდა.

„შეიძლება ლუდმილა პუტინისთვის უკეთესია, რომ ის ასეთი ქმრისგან გათავისუფლდეს, მაგრამ ეს ჩვენ გვეხება, რადგან პუტინი რამდენიმე ხნის წინ შეხვდა მრავალშვილიან მშობლებს და იქ ოჯახურ ფასეულობებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ის ამ ფასეულობებს იცავს. შემდეგში, როცა ის კვლავ ოჯახურ ფასეულობებზე დაინწყებს საუბარს, ეს ყველაფერი გაახსენეთ. ჩემთვის უკეთესი იქნებოდა არა ცოლს, არამედ ქვეყანას გაყროდა. მე ასეთ პრეზიდენტს დღესაც ვაყვარებ, რომ მე, აღარ მომიწიოს იმის თქმა, რომ ის ჩემი

ლი ხარისხისთვის, როგორც გულისხმობს პოლიტიკოსის მეუღლის სტატუსი.

„მთელი ჩემი საქმიანობა აბსოლუტურ საჯაროობასთანაა დაკავშირებული. ვილაცას ეს მოსწონს, ვილაცას – არა, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამას საერთოდ ვერ ეგუებიან“, – განაცხადა პუტინმა.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ განქორწინების შემდეგ ის და ლუდმილა პუტინა მეგობრებად დარჩებიან.

„ჩვენ ყველას ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და მადლობელი ვარ, რომ ის მე და ბავშვებს დღემდე მხარს გვიჭერს. ის ზრუნავს ბავშვებზე და ბავშვები ამას ყოველთვის გრძობენ. ჩვენი ქორწინება დასრულდა, იმიტომ რომ, თითქმის ვერასდროს ვხვდებით ერთმანეთს. ვლადიმერ ვლადიმერის ძე მთლიანად ჩართულია საქმეში. ჩვენი შვილები გაიზარდნენ და თავისი ცხოვრებით ცხოვრობენ. ისე მოხდა, რომ ჩვენ ყველა ჩვენი საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობთ“, – განაცხადა ლუდმილა პუტინამ.

განქორწინება ჯერ არ არის დოკუმენტურად გაფორმებული. რუსეთის პრეზიდენტის ქორწინება 30 წელი გაგრძელდა. მათ ორი ქალიშვილი ჰყავთ – მარიამი და ეკატერინე.

მედიკოსი მისამე სოლს სილვა

ამერიკელმა მედიკოსმა და კომპანია „ნიუს კორპორეიშნის“ დირექტორმა საბჭოს ხელმძღვანელმა რუბენ მერდოკო ნიუ-იორკის შტატის უზენაეს სასამართლოში მესამე ცოლად ვენდი დეკ მერდოკთან გაყრის შესახებ განაცხადა შეიტანა.

82 წლის რუბენ მერდოკი და 44 წლის ვენდი დეკი 14 წლის წინ დაქორწინდნენ. მათ ორი საერთო ქალიშვილი გრეისი და ჰლოია ჰყავთ.



მთლიანად მერდოკს ექვსი შვილი ჰყავს – ოთხი ქალიშვილი და ორი ვაჟი.

რუბენ მერდოკი მოსოფლიო მასმედიის 16%-საკონტროლებს. მედიამაგნატებს შორის პირველია, ვინც მსოფლიოს უდიდესი ადამიანების სიაში შევიდა.

მედიკოსი მისამე სოლსი და მისი კომპანია მსოფლიოში 23 ამერიკული ტელესადგური, ათეულობით გაზეთი. აქვს წილი ამერიკულ რაბები, არის რამდენიმე ხნის ჩამწერი კომპანიის მფლობელი.

მერდოკი 1931 წელს ავსტრალიაში დაიბადა. მისი მამა ბრწყინვალე ჟურნალისტი იყო და საგამომცემლო საქმის ოსტატად ითვლებოდა.

მოაშხადა ვერა მაჟულაშვილი



რა ხდება ნიჭიერთა ათწლეული?



ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის „ნიჭიერთა ათწლეულის“ კოლექტივი გაურკვევლობაშია. ისინი სიტუაციაში გასარკვევად ღია წერილით საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს მიმართავენ, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გათავაზობს:

„პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო! „ნიჭიერთა ათწლეულის“ მთელი კოლექტივი, სკოლის გულშემატკივრები და, რაც მთავარია, მოსწავლეები აღშფოთებული ვართ კულტურის სამინისტროს დამოკიდებულებით ჩვენი სკოლისადმი. კულტურის სამინისტროს მიზანმიმართულად და დაუფარავად უყუბებს იგნორირებას სახსნაველებს და ბლოკავს ჩვენი დირექტორის ყველა იმ პროგრესულ ნაშრომებს, რასაც წლები ველოდით. შეგახსენებთ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა თითქმის ერთ საუკუნეს ითვლის. ამ სკოლაში აღზარდნენ მუსიკოსები, რომელთაც შექმნეს მე-20 საუკუნის ქართული სამუსიკო ხელოვნების ისტორია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სკოლის აღზრდილებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს მსოფლიო კულტურაშიც. სკოლის აღზრდილთა სახელები ნებისმიერი ქვეყნის კულტურულ სახელოვნებო ელიტას დაამსვენებდა: სულხან ცინცაძე, სულხან ნასიძე, ბიძინა კვერცხი, დავით თორაძე, ლეკო თორაძე, ნოდარ გაბუნია, ელისო ვირსალაძე, რუდოლფ კერერი, მარინე გოგლიძე-მდივანი, დიმიტრი ბაქურიანი, ჯანსუღ კახიძე, ლევ ვლასენკო, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის მთელი შემადგენლობა, ელისო ბოლქვაძე, ალექსანდრე კორსანტი, თენგიზ ამირჯანიძე, ალექსანდრე ნიჟარაძე, ლიზა ბათიაშვილი, მედეა ამირანაშვილი, ლიანა ისაკაძე, ლამარა ჭყონია, ზურაბ ანჯაფარიძე, ეთერ ანჯაფარიძე, დევი იაშვილები, თამარ გაბარაშვილი, ხატია ბუნიათიშვილი, გივი აზმაიფარაშვილი, ზაზა აზმაიფარაშვილი და მრავალი სხვა. გვარების სრულ ჩამონათვალს გაზეთის გვერდი ვერ დაიტევს.

ბოლო ოცი წლის მანძილზე სკოლა აღმოჩნდა ქვეყანაში დატრიალებული მრავალი უბედურების მსხვერპლი. განადგურდა მატერიალური ბაზა და დაიშალა ის სტრუქტურა, რაზეც სკოლა იყო აგებული (სამუსიკო სკოლის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და ინტერნატის ერთობლიობა). დღემდე სკოლა მოიტანა პედაგოგთა უანგარო, თავდადებულმა შრომამ, პროფესიისა და სკოლისადმი ერთგულმა. სულ რაღაც ორიოდე წლის წინ, სახელმწიფომ მოიკლვა ამ სკოლისთვის და დაიწყო ნიჭიერთა ათწლეულის აღორძინების რთული, მაგრამ, როგორც ჩვენ ვიმედოვნებდით, შეუქცევადი პროცესი. ჩვენი მოლოდინი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, როდესაც ქვეყნის სათავეში მოვიდა ადამიანი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ, პირველ რიგში, გაიცნო როგორც მეცნიერი და ხელოვნების დიდი ქომაგი, და მხოლოდ შემდეგ, როგორც პოლიტიკოსი. დარწმუნებული ვიყავით, რომ ისეთი ადამიანი, რომელიც ურთულეს წლებში მშველელად მოვეციხა ქართულ ხელოვნებას, უყურადღებოდ არ დატოვებდა ქართული სამუსიკო ხელოვნების ამ უნიკალურ სამჭედლოს.

სამწუხაროდ, თქვენ მიერ ნდობით აღჭურვილი კულტურის სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობის მუშაობა ამ მიმართულებით მხოლოდ პესიმიზმის საბაზს გვიძლევს. აშკარაა „ათწლეულის“ რეაბილიტაციისა და აღსრულებული რეფორმების ხელოვნური ბლოკობა. გაუფრთხილა, რა კონტრეფორმების ხელმძღვანელობს როგორც მინისტრი, ისე მისი გარემოცვა და სამინისტროში შექმნილი მრჩეველთა საბჭო. მუსიკალურ წრეებში არსებობს მრავალი მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, თუ ვისი და რა ინტერესების სასარგებლოდ არის მიმართული ამ საბჭოს მუშაობა. მტკიცებულებების გარეშე რთულია რაიმეზე დაბეჯითებით საუბარი, მაგრამ აშკარაა, რომ აღორძინების „ნიჭიერთა ათწლეუდი“ არ შედის მათ ინტერესებში, ვინც დღეს სამუსიკო დარგს განაგებს. დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის დანახვას, რომ სამინისტროს გულმოდგინება ეხიანება იმ დრამატურულ ხაზს, რომელსაც ბოლო ათი წელია ატარებს სამუსიკო ხელოვნების ერთი მოხერხებული და გაღვივებული პერსონა. სამუსიკო საზოგადოების კულტურებში წლებია საუბრობენ მის გეგმაზე, მონოპოლიზება გაუკეთოს მთლიანად სამუსიკო განათლებას. თუ ეს პროცესი ბოლო ორი წელი შედარებით შეფერხდა და აქტიური სამუსიკო განათლების ქმნილობა განითარებაზე გადავიდა, კულტურის სამინისტროს დღევანდელმა ხელმძღვანელობამ პრიორიტეტები კვლავ შეცვალა და ახალი სული ჩაებრა გეგმას, რომლის განხორციელება დამანგრეველი იქნება ქართული მუსიკისთვის.

მართალია, სამინისტრომ შეგინდარჩუნა გაზრდილი ბიუჯეტი, მაგრამ მხარდაჭერა მხოლოდ ფინანსებში არ გამოიხატება. ნათლად ვხედავთ აქტიურ მუშაობას კოლექტივში განხეთქილების დასაწერებად, რაზეც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს პედაგოგების მცირე ნაწილთან. იწერება საჩივრები, რომელთაც ხელს აწერენ „ათწლეულის“ და კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები და შემდგომ არკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანები შეცდომაში არიან შეყვანილი და ხელმწიფონი მოტყუებითა მოპოვებული. ეჭვი გვაქვს, მსგავსი ინტრიგების ავტორები სწორედ სამინისტროს მაღალჩინოსანთა ნაქებებით მოქმედებენ.

ჩვენი ყველა მცდელობა, დაგვეყარებინა კომუნიკაცია ხელისუფლების იმ წარმომადგენლებთან, ვისაც ხელმძღვანელებს გადამწყვეტილების მიღება, წარუმატებელი აღმოჩნდა. თქვენც მოგმართეთ თხოვნით, მიუხედავად თქვენი გადაჭრითული გრავიკისა, გამოგენახათ დრო სამუსიკო განათლების პრობლემებზე სასაუბროდ, მაგრამ თქვენ გადაგვამისამართეთ ისევ კულტურის სამინისტროში, რომელიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თვეების მანძილზე ჩვენს სკოლას ბოიკოტს უტყავს. გვეცმის, რომ სამინისტროს მაღალჩინოსანები თქვენი პირადი ნდობით სარგებლობენ, რაც ამძაფრებს მათ პასუხისმგებლობას როგორც საზოგადოების, ისე თქვენ წინაშე, განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით მოეკიდონ საქმეს, რათა არ მოახდინონ ქვეყნის საკეთილდღეოდ თქვენი მოღვაწეობის დისკრედიტაცია.

სკოლა ჩიზნია მოქცეული! პირად საუბრებში კულტურის სამინისტროს მესვეურები არ მალავენ დირექტორისადმი პირად ნეგატიურ დამოკიდებულებას. აქეთ კი უფლება თანამდებობის პირებს, ერთი ადამიანისადმი პირადი ანტიპათიის გამო იგნორირება გაუკეთონ მთელ ორგანიზაციას, სადაც 200 პედაგოგი და 600 ბავშვი წარმატებით მოღვაწეობს? მსხვერპლად აქციო მსოფლიო მნიშვნელობის სკოლა, ქართული კულტურის არამატერიალური მემკვიდრეობა?

სკოლის ხელმძღვანელმა მიიღო გადამწყვეტილება, დატოვოს თანამდებობა, რათა პიროვნულ უთანხმოებას არ შეენიროს სკოლის ინტერესები. ჩვენ ამ გადამწყვეტილებას კატეგორიულად ვენინანაღმდეგებით. ვთვლით, რომ ზოგისათვის „არასასურველი“ დი-



რექტორის წასვლით პრობლემები არ მოგვარდება. მეტიც, დარწმუნებული ვართ, სწორედ თამარ შენგელიას, ცხადია, სახელმწიფოს მხარდაჭერით, შესწევს უნარი ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული საქმე, რაც უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ ცალკე აღებული სკოლის, არამედ ქართული სამუსიკო ხელოვნების მომავლისათვის. „ათწლეუდი“ იყო და რჩება ქართული სამუსიკო ხელოვნების ძირითად დონორად, ის განაპირობებს, თუ რა მომავალი ექნება სახელმწიფო კონსერვატორიას, საქართველოს სიმფონიურ ორკესტრებს, ოპერისა და ბალეტის თეატრებს და ა.შ. ჩვენ, მუსიკოსები, წლების მანძილზე ერთგულად ვემსახურებოდით ჩვენს საქმეს, მორჩილად ვივლიდით რეალობას და მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, ვზრდიდით მუსიკოსებს, რომელთაც საკუთარი შემოქმედებით ჩვენი სამშობლო მსოფლიოს გააცნეს, როგორც მაღალი კულტურის ქვეყანა. მაგრამ დედა მომენტი, როდესაც სიტუაცია კრიტიკულ ზღვარზე და პასუხობა დანაშაულის ტოლფასია. დღეს შექმნილი საგანგაშო ვითარება გვიძილებს მიგმართოთ ღია წერილის ფორმას და კიდევ ერთხელ გთხოვთ, მოგვაქციოთ ყურადღება და დაგვიდგეთ გვერდში საქართველოში სამუსიკო ხელოვნების გადარჩენად. ნუ დაუშვებთ, რომ თქვენი მმართველობისას საბოლოოდ განადგურდეს ქართული მუსიკის ეს უნიკალური კერა!!!

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლეულის“ კოლექტივი“.

„ნიჭიერთა ათწლეულის“ პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მხარდაჭერებმა პარლამენტის ყოფილი შენობის წინ აქციაც გამართეს, სადაც არსებული ვითარება გააპროტესტეს. როგორც აქციაზე ითქვა, მათთვის მიუღებელია ის იგნორი, რასაც კულტურის სამინისტრო მათ მიმართ ახორციელებს, რადგან თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. „ნიჭიერთა ათწლეუდი“ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მისმა ამაჟმინდელმა დირექტორმა თამარ შენგელიამ განცხადებაც დაწერა გადადგომის შესახებ, რომელიც კულტურის სამინისტროს ჯერ არ დაუკმაყოფილებია. აქციაზე მისულმა ადამიანებმა კი დირექტორისგან განცხადების უკან გამოიტანა მოთხოვნა.

დაძაბულობა ამ ორ უწყებას შორის ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, როცა თამარ შენგელიამ ღია წერილით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას: „პოლიტიკურად ეგზალტირებულ მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ მეც და ჩვენს სკოლაში მოღვაწე 200 პედაგოგი უყურებთ წინა და დღევანდელ ხელისუფლებას პოლიტიკური კონტექსტის მიღმა და ჩვენთვის ერთადერთი კრიტერიუმი არის სკოლის და ზოგადად სამუსიკო განათლების მხარდაჭერა. ეს წერილი არ გახლავთ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების შეფასება. საუბარია მხოლოდ კულტურის სამინისტროსა და სამუსიკო ხელოვნებაზე.“

პატივცემულო ბატონო გურამ! გამოგიტყდებით, როდესაც თქვენ მინისტრად წარგადგინეს, ჩემად სამარცხინოდ, არ გიცნობდით და კითხვად „ვინ არის?“ უმეტეს შემთხვევაში მას უბოძდნენ: „ერთი წესიერი და საყვარელი მწერალი კაცია“. ეს თავისთავად კარგად გახასიათებთ, თუმცა მოუთმენლად ველოდი თქვენს განცხადებას, ვიმედოვნებდი, თქვენში დამენახა ის თვისებებიც, რაც, ჩემი აზრით, აუცილებელია მინისტრისთვის, ვინაიდან ამ თანამდებობაზე მოსაფრებლად კი არ წინაშევენ, არამედ ძალიან საპასუხისმგებლო და რთული პრობლემების მოსაგვარებლად. ასეთ თვისებებზე მივიჩნევ კომპეტენტურობას, ხელოვნების დარგების ღრმა ცოდნას, ერუდიციას, გამჭრიახ გონებას, ინტუიციას, დახვეწილ გემოვნებას, გამბედაობას, ქმედითუნიანიანობას და ა.შ.

პირველი შეხვედრისას თქვენში ამ თვისებების დანახვა გამიჭირდა, მაგრამ განბილებიდან შორს გახლდით, რადგან ადამიანურად შევედი თქვენს მდგომარეობაში და გავითვალისწინე, რომ მოულოდნელი დანიშნვის გამო, შესაძლოა ეიფორიაში ბრძანდებით. ესაუბრობდით ძირითადად მე და ვცდილობდი ამებსა, თუ რა ორგანიზაციას წარმოვადგენ. მართალი გითხრათ, გამოცდა სამუსიკო დარგის თქვენმა მწირმა ცოდნამ. მომინია ისეთი ელემენტარული ინფორმაციის მონოდება, რომელიც უნდა გქონოდათ, როცა ამხელა პასუხისმგებლობას იღებდით საკუთარ თავზე. სამწუხაროდ, თქვენში ვერც იმის სურვილი დავინახე, სიღრმისეულად შეისწავლით ის სფერო, რომლის გადარჩენის ამბიციით მოგვევლინეთ. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ არ შედა ჩვენი მეორე შეხვედრა. ამას მე პირად წყენად არ აღვიქვამ, ვინაიდან პირადი საკითხებით არ განუხებთ. ჩემი იგნორირებით თქვენ ნიხლს კრავთ „ნიჭიერთა ათწლეუდი“ და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ სკოლის უკან დგას.

სკოლაში სამუშაოდ მოვედი 2011 წლის ზაფხულში. ამ დროისთვის სკოლა ფაქტობრივად განადგურებული იყო. დავინწყეთ სკოლის სასწრაფო რეანიმირება. შარშანდელი სასწავლო წლის მანძილზე მოხერხდა დროებითი შენობის მეტ-ნაკლებად მოწესრიგება, მოსწავლეებსა და პედაგოგებში მორალური განწყობის ამაღლება, შემოქმედებითი მოღვაწეობის გააქტიურება, რასაც ხელი შეუწყო თქვენი წინამორბედის მხრიდან სკოლით აქტიურად დაინტერესება და ქმედითმა მხარდაჭერამ. ცნობისათვის: 2012-2013 სასწავლო წელი დავასრულეთ საერთაშორისო კონკურსების 22 ლაურეატით, ჩავატარეთ 18 საწვევითი კონცერტი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, აქედან ხუთი – სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. შევიცარიის საელჩოს დაფინანსებით გამოცა სკოლისადმი მიძღვნილი ფოტოალბომი „დაკარგული ანგელოზები“. ავეისტიო-ში ჩავატარეთ საერთაშორისო ფესტივალი „თრეველინგ ნოუსტ“, რომლის ფარგლებში გაერთიანდნენ ჩვენი სკოლის ორკესტრანტი-

ბი და მათი ახალგაზრდა კოლეგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანად. პროექტი დასრულდა საერთაშორისო სტუდენტური სიმფონიური ორკესტრის სამი შთამბეჭდავი კონცერტით და მრავალი სხვა საინტერესო ღონისძიება. ყველაფერ ამის შედეგად გაიზარდა მუსიკისადმი ინტერესი, რაც დადასტურდა სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობის ზრდით თითქმის 50%.

ასევე, ერთი წლის თავზე, შედეგად, მივიღეთ სკოლისათვის არაწვეულებრივი შენობის გადაცემა, სახელფასო ბიუჯეტის გაზრდა და სიტყვიერი შეთანხმება ახალი შენობის გარემონტებისა და მატერიალური ბაზის განახლების შესახებ. გაზრდილი ბიუჯეტი იმედით მრავალ ახალ ნაშრომებს ჩაეყარა საფუძველი. დავინწყეთ მუშაობა სამუსიკო განათლების სტანდარტიზაციაზე, სასწავლო პროცესის და შედეგების გასაუმჯობესებლად შევიმუშავეთ რამდენიმე პროექტი და დავინწყეთ კიდევ მათი განხორციელება; დაავსუნეთ ბიჭუნათა გუნდი, დაუწინაურეთ სტიპენდიები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსულ, სწავლას მონაწიურებულ ბავშვებს, რომელთაც გზის ფულსაც კი ხშირად პედაგოგები აძლევდნენ. მივიღეთ წეროვნის ლტოლვილთა ბანაკში მცხოვრებ ბავშვთა 15 კაციანი ჯგუფი, რომელიც თბილისი ბანკის ხელშეწყობით, ჩვენ სკოლაში ეუფლება ჩასაბერ ინსტრუმენტებს. იანვრიდან დაგეგმილი გვექონდა სასულე ორკესტრის ჩამოყალიბება. სწორედ ამ სასიხარულო ცნობებით გავხსენით სექტემბერში პედაგოგთა დეკემბერში, პედაგოგებთან შეხვედრისას მომიწევს შემდეგი ინფორმაციის გახმოვანება: მინისტრ ოდიშარიას გადამწყვეტილება მაიძულებს ყველა ეს ნაშრომება დაკავშირებულ, შენობა დაკავებულია ლტოლვილების მიერ და არავინ მათ გამოყვანას არ ჩქარობს, რემონტის ფული არ არის და ეს საკითხი საერთოდ არ განიხილება, ხოლო გაზრდილი ბიუჯეტი ისევ შექცირდა და უგაბარირ არ მოგემატებოთ. თქვენზე არ შემედგარმა მოადგილემ თქვენი ეს გადამწყვეტილება ამიხსნა იმით, რომ წინა ხელმძღვანელობას ზედმეტად გაბერილი ბიუჯეტები ჰქონდა. სხვა სფეროებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩვენს სკოლაში მოღვაწე პროფესორებისა და დამსახურებული პედაგოგების ხელფასი მერყეობს 170-280 ლარამდე, ეს ხომ დამამცირებელია?! ნუთუ უხერხულობის გრძნობა არ გეუფლებათ?!

თქვენ, ბატონო გურამ, ამის შესახებ მე მოგახსენეთ ჩვენს ერთადერთ შეხვედრაზე და უმორჩილესად გთხოვეთ ბიუჯეტი არ შეგემცირებინათ. აქვე გეტყვით, რომ სკოლაში სწავლება უფასოა და მე, როგორც სკოლის ხელმძღვანელი, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მისი კომერციალიზაციის. ვთვლი, სახელმწიფოს დირსების საკითხია ერთი ასეთი სკოლის შენახვა. ეს სასწავლებელი და აქ მოღვაწე ადამიანები იმსახურებენ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას და დაფასებას. როგორც ჩანს, თქვენ წინაშე არის იცით და არ გააღივებთ მათი ბედი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიჩნდება დამატებითი ამ სკოლის ხელმძღვანელთან საუბრის და თანამშრომლობის გაგრძელების. თქვენ გერგოთ პატივი, იყოთ ერთ-ერთი იმთავანი, ვინც ამ სკოლის გადარჩენას და აღორძინებას შეუწყო ხელი. სამწუხაროა, რომ ვერ დააფასეთ ეს პრივილეგია და ასეთ შანსს უგულვებელყოფთ.

იმის იმედით, რომ ეს გადამწყვეტილებები დროებითია, ორი თვეა ვცდილობთ გავიგო, თუ ზოგადად რა დამოკიდებულება და სკოლისთან დაკავშირებული რა გეგმები აქვს დღევანდელ სამინისტროს. სამწუხაროდ, ამ ხნის მანძილზე არ გამოჩნდა არც ერთი ოფიციალური პირი, ვინც საქმით დაინტერესდა. მესმის, რომ ორი თვეში ყველა პრობლემა არ მოგვარდება, მაგრამ ხომ შეიძლება, რაც უკვე გაკეთდა ან ხორცშესხმის პროცესშია, ერთი ხელის მოსწრაფი არ მოგესპოთ? სამწუხაროდ, ამ დროის განმავლობაში თქვენმა მოღვაწეობამ სკოლას უკვე ჩაუგდო 2013-2014 სასწავლო წელი, ეს კი, კიდევ ერთი დაკარგული თაობაა. სიტყვიერი დაპირება მინც მოგვცათ, რომ მოგვიანებით დაკავდებით, დაინტერესდებით და ა.შ., რათა ბავშვებისა და პედაგოგებისთვის იმედი მინც დაგვეტოვებინა. სადაც ამდენი წელი ვითმინეთ, მოვიცდიდით რაღაც ხანი. თქვენ კი ერთი აუდეინციით ვალი მოიხადეთ და როგორც თავად შემოქმედებულ „მეორედ შეხვედრის საბაზს ვერ ხედავთ. არ იცით, რაზე მელაპარაკობ? თქვენც და თქვენ მიერ საზოგადოებისთვის წარდგენილი საგარაუდო კანდიდატურები, ძირითადად, დაკავებული ბრძანდებით წერილი ინტრიგებისა და კონფლიქტების გარეშე. ამისათვის საგანგებო რინგიც კი მოაწყვეთ სამინისტროს დადარბაში. ერთმანეთის ქაბა ხომ ქართულების ყველაზე სასიამოვნო გატაცება და თვითდამკვიდრების უებარი საშუალებაა, არც ისე აკლებდნენ და ახლა ამ „საქმიანობისთვის“ განსაკუთრებულ პირობებს უქმნიან. და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ გავკარგოთ ერთი ილუზია შეგვიქმნათ, თითქოს საზოგადოებას პატივს სცემთ და მის აზრს ითვალისწინებთ. როგორც ჩანს, პოპულიზმს ვერ გაცდით და ვერც ერთმა თქვენთანაა ვერ გამოყავით დრო სამუსიკო განათლების თაობაზე საფუძვლიანი საუბრისთვის. თუ პრობლემა ჩემს პერსონაშია, თქვენ გაქვთ ჩემი განთავისუფლების იური-

დი დამოკიდებულება. მას იმოქმედეთ! ოღონდ ფუჭად დროის ფლანგვა დაძლიებული როგორც სკოლისთვის, ისე ზოგადად ქართული სამუსიკო ხელოვნებისთვის. არ ვიცი, გესმით თუ არა ამ სკოლის მნიშვნელობა, მაგრამ სწორედ „ნიჭიერთა ათწლეუდი“ განაპირობებს, თუ რა მომავალი აქვთ საქართველოში არსებულ სიმფონიურ ორკესტრებს, ოპერისა და ბალეტის თეატრს, სახელმწიფო კონსერვატორიას და უკლებლივ ყველა სამუსიკო დარგს.

სამწუხაროდ, ორი თვის თავზეც რჩება შთაბეჭდილება, რომ თქვენ უბრალოდ დაბნეული, უმოქმედო, საყვარელი ადამიანი ბრძანდებით, რომელიც ვერ აცნობიერებს, თუ რა ტვირთი წამოიკიდა მხრებზე. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ქართულ კულტურას მიხედვით, თუკი სამინისტროს კომპეტენტური კადრები დაკომპლექტებულა კი ვერ მოახერხებთ? ყურადღებით ვადევნებ თვალყურს თქვენს გამოსვლებს და ვერც ერთ საკითხზე ვერ მოვისმინე თქვენი პირადი მკაფიო მოსაზრება. ყველა კითხვამ გვაპასუხებთ „ახლს შევეკითხებით“. შეეკითხეთ, ბატონო, მაგრამ ხომ შეიძლება თქვენი აზრით გაგანდეთ? ხომ არ აჯობებდა დატოვოთ დაკავებული პოსტი, სანამ კიდევ მეტ ზარალს არ მიაყენებთ ქართული კულტურის განვითარებას. თქვენი ყოყმანი, დაბნეულობა და სისუსტე ადამიანურ თანგაძრობას იწვევს, მაგრამ რთულია ანგარიში გავიწიოთ, ვინაიდან უძვირფასესი დრო იკარგება, რასაც ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი ეწირება.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლეულის“ დირექტორი თამარ შენგელია“.

ამ წერილის გამოქვეყნებისთანავე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ საპასუხო ღია წერილი გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ თამარ შენგელიას ღია წერილში მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გზით, სამინისტროს ხელმძღვანელობის დისკრედიტაციას. ინფორმაცია დანესებულების ბიუჯეტის შემცირების შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, ვინაიდან 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით „ნიჭიერთა ათწლეულისათვის“ გათვალისწინებულია 1.460.000 ლარი.



გიორგი გახორჯიძე: ტრავმების გამო ფეხბურთით ბოლოელა ვერ დავტყვი



უკრაინულმა პოპულარულმა ვებგვერდმა ფოტობალ.უამ გიორგი გახორჯიძეს საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. რუბრიკა, ტრადიციულად, მოკლე ბიოგრაფიით იწყება.

წარმოგიდგინო რუბრიკის მთავარ გმირს, ნახევარმცველ გოგა გახორჯიძეს. გოგა 1975 წლის 5 ნოემბერს თბილისში დაიბადა. ფეხბურთის თამაში რუსთავეის „მეტალურგში“ დაიწყო, საიდანაც მალევე მიიღო მინევეა თბილისის „დინამოსგან“ (პარალელურად ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს). დიდ წარმატებას ფეხბურთში მართლაც თავის ქვეყანაში ვერ მიაღწევდა, ამიტომ ნიჭიერი ფეხბურთელი მალევე წავიდა საზღვარგარეთ. პირველი უცხოური კლუბი ვლადიკავკაზის „ალანია“ იყო, სადაც 2 ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, მალევე მოაწერა ხელი ჰოლანდიურ გრანდთან პსვ-სთან. კლუბთან ფეხბურთელმა დიდი სიხარულიც განიცადა და მწუხარებაც. თამაშობდა „ტვენტეს“ და დონეცკის „მეტალურგში“, კარიერის ბოლოს კი, ტრავმების გამო, ხშირად აღარ უწევდა მოედანზე გასვლა. კარიერაც საკმაოდ ახალგაზრდულ, 31 წლის ასაკში დაასრულა და მის ანგარიშზე სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულია (საქართველო, ისრაელი, ჰოლანდია). ამჟამად ფიფას ლიცენზირებულ აგენტად მუშაობს.

– შეგიძლიათ გვითხროთ, რას საქმიანობთ? ამბობენ, საფეხბურთო აგენტად მუშაობთ და თქვენი კლიენტების რიცხვში ლევან კობიაშვილიც არის.

– ჩემი ცხოვრება დღესაც ფეხბურთთანაა დაკავშირებული. მე ჩემს მეგობრებთან – გიორგი ქინქლაძესა და დავით ყენიასთან ერთად ფიფას ლიცენზირებულ აგენტად ვმუშაობ. მათ შორის, ვის ინტერესებსაც ვიცავ, „ვიტესის“ ქართველი კაპიტანი გურამ კაშიაა. ჩემი კლიენტი ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელია. საქართველოში ცხოვრობს და თავს ბედნიერად და კომფორტულად გვგრძნობს.

– როდესაც საფეხბურთო სამოქალაქო ომი იყო, რა მოლოვნებები გაქვთ? ომი შეეხო ფეხბურთს? რა მდგომარეობაში იყო მაშინ ქართული ფეხბურთი?

– დიას, კარიერის დასაწყისში საქართველოში სამოქალაქო ომი იყო. რა თქმა უნდა, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფეხბურთზეც იყო ასახვა. რა უნდა გაგვეკეთებინა? უბრალოდ, ვთამაშობდით და გამოვედით რთული მდგომარეობიდან.

– უფრო მეტიც, თქვენ და თქვენი დროის მოთამაშეებმა ძალიან სწრაფად აიწყვეთ კარიერა, მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარებისა. გაიხსენეთ თქვენი დებიუტი.

– რა თქმა უნდა. ჩემი დებიუტი რუსთავეის „მეტალურგში“ შედგა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. ჩემი, როგორც ფეხბურთელის განვითარებაში დიდი წვლილი პირველმა მწვრთნელმა რამაზ მუმლაძემ შეიტანა, უცხოეთში კარიერის მოწყობაში დიდი დახმარება წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ვლადიმერ გუცაევმა გამიწია. ყველაფერი სწრაფად იმიტომ განვითარდა, რომ თბილისის „დინამოსგან“ მოწვევა მალევე მივიღე. შემდეგ თავისთავად მოხდა ყველაფერი.

– „დინამოში“ გადასვლიდან ძალიან მალე ფიფას „კოლხეთში“ მოგინათ იჯარის წესით გადასვლა. რა მოხდა სინამდვილეში?

– „დინამოში“ ჩემი დებიუტი უფროს თასზე 1995 წლის 8 აგვისტოს ბულგარეთის კლუბ „ბოტევის“ წინააღმდეგ შედგა, მაგრამ მალევე ტრავმა მივიღე და თითქმის მთელი წლის განმავლობაში მომიწია. 19 წლის ასაკში მთელი სეზონის გაცდენა... ამიტომაც „კოლხეთში“ გადავედი არენდის წესით და იქ სათამაშო პრაქტიკა უფრო მქონდა. იმ დროს „კოლხეთიც“ ასპარეზობდა ევროთასებზე და საქართველოში სიძლიერით მეორე გუნდი იყო „დინამოს“ შემდეგ.

– „დინამოში“ იმ პერიოდში მოგინათ ასპარეზობა, როდესაც იქ კაშია, კობიაშვილი, ჯამარაული, იაშვილი და დემეტრაძე თამაშობდნენ. ასეთ ცნობილ კამპანიაში თავს როგორ გრძობდით? ლევანთან მანამდე შეგობრობდით?

– დიას, „დინამოში“ ყველაზე ნიჭიერი თამაშის მოყვანია. ლევანს „მეტალურგიდან“ ვიცნობდი, დანარჩენები კი თბილისურ კლუბში გავიცანი. „კოლხეთშიც“ იყვნენ ტალანტები. ინტერტოტოს თასზე ვასპარეზობდით და, მიუხედავად ყველა მატჩის ნაგები-

სა, უბრალოდ არც ერთი არ დავვიტოვებ.

– კარიერაში გარდამტეხი (როგორც კობიაშვილის კარიერაში) „ალანიაში“ გადასვლა აღმოჩნდა?

– გეთანხმებით, ეს ასე იყო! „ალანიაში“ ვლადიმერ გუცაევმა მიმიწვია. მინდა, განსაკუთრებულად აღვნიშნო და ხაზი გავუსვა ვალერი გაზაევის დამსახურებას ჩემი, როგორც მოთამაშის განვითარებაში. მას განსაკუთრებული ნიჭი აქვს ფეხბურთელების ფსიქოლოგიურად მომზადებაში.

– „ალანიაში“ ქვეყნის ჩემპიონობისთვის აღარ იბრძოდა, მაგრამ ევროთასებისთვის – კი. გახსოვთ „დნუბრის“ განადგურება? უკრაინულ კლუბთან ასეთი ბრწყინვალე თამაში შემდეგ უნგრულ კლუბთან დათმეთ.

– ის დღე როგორ უნდა დამავიწყდეს. ძალიან ნათელი ფეხბურთი იყო. უკრაინულ კლუბს ყველა ასპექტში ვაჯობებ. ჩემს ანგარიშზე 2 გოლი იყო, 4:1 მოვიგეთ. უნგრული გუნდი კი მწარედ მახსენდება. ჩვენ კარგად ვთამაშობდით, მაგრამ უნგრელები უფრო ძლიერები იყვნენ.

– „ალანიაში“ იმ დროს ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, როგორებიც არიან: ცვეიბა, თეთრაძე, იანოვსკი, კანიშჩივი, ხაპოვი. მათ შორის ვინ იყო ლიდერი?

– იმ დროს „ალანიას“ ლიდერებს გამორჩეული ფეხბურთელებიც იყავდნენ და მათთან ძალიან მიჭირდა. მინდა გითხროთ, მათ გვერდით თამაში დიდი სიამოვნება იყო. ეს იყო უნიკალური გუნდი. ძალიან მსიამოვნებდა კლუბში თამაში და ვლადიკავკაზში ცხოვრება. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში.

– „ალანიაში“ შემდეგ კარიერა პსვ-ში განაგრძეთ. ჰოლანდიელები მოლაპარაკებებს როგორ აწარმოებდნენ? რამდენი გადაუხადეს თქვენ სანაცვლოდ, გახსოვთ? როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება ჰოლანდიაში – სხვა პლანეტა იყო.

– პსვ-ში ჩემი გადასვლა ძალიან იოლად მოხდა. ჩემი ტრანსფერი საფეხბურთო აგენტმა სარსანიამ მოახერხა, რომელიც ამჟამად საფეხბურთო კლუბ „ზენიტის“ სპორტული დირექტორია. ტრანსფერი 3 მილიონი დოლარი ღირდა. რაც შეეხება ჰოლანდიურ შთაბეჭდილებებს, ის არასდროს დამავიწყდება. საფეხბურთო თვალსაზრისით უზარმაზარი განსხვავებაა. მათგან მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი, ამიტომ „ტიტების“ ქვეყანას დღემდე ვსტუმრობ.

– რომელ პოზიციაზე თამაშობდით? ვინ იყვნენ თქვენი კონკურენტები კლუბში?

– პსვ-ში მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობდი. კონკურენცია დიდი იყო, ამიტომ ბოლომდე ვიხარავოდი. ოოო, კლუბში ძალიან ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობდა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ფინელი იონას კოლკი და არიენ რობენი.

– ამავე გუნდში თამაშობდნენ ვან ნისტელროი, დე ბილდე, ნილისი, ბრიუგინე, ოიერი, რომედალი, აბელ შავერი, ვატეროისი. კარგი ურთიერთობა გქონდათ ამ ვარსკვლავებთან? თავისუფალ დროს რას აკეთებდით?

– ახალმისულს გამიჭირდა

კლუბთან საერთო ენის გამოხსენება. რთულია, შევეგუო ახალ ქვეყანას, ახალ კულტურას. მოგვიანებით ყველასთან მოვახერხე დამეგობრება. თავისუფალ დროს ხშირად დავდილობდი რესტორნებში. აქ ყველაფერი პროფესიონალიზმს ემყარება.

– ალბათ, არ შეეცდებოდით, თუ ვი-ვარაუდებ, რომ უფრო ხშირად ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპიდან გამოსულ მოთამაშეებთან – ნიკოლოროვთან, ტემრიუკოვთან, ივანთან, სტინ-გასთან გქონდათ.

– მართალი ხართ, ასე იყო. – მაშინ კლუბის მთავარი მწვრთნელი ბობი რობსონი იყო. რა დამოკიდებულება ჰქონდა მას თქვენთან?

– რობსონისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა ეროვნულობა. მისთვის ყველა ერთნაირი იყო, ამიტომ ყველასთან ერთნაირი ურთიერთობა ჰქონდა. მთავარი კონკრეტული მატჩისთვის მზადება იყო!

– თავიდან კლუბში თამაში გაგიჭირდებოდათ. მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხეთ გოლების გატანა. გახსოვთ დებიუტი და ვის გაუტანეთ?

– რა თქმა უნდა, როგორ უნდა დავვიწყო სადებიუტო მატჩი. „ჰერენვენის“ წინააღმდეგ ვითამაშე პირველად. „უტრეხტთან“ კი პირველად გავიტანე. ეს მატჩი კარგად დამამახსოვრდა, რადგან ამ გამარჯვებით ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვე.

– შემდეგ ისრაელში გავანათხოვრეს. ჰაფაზს „მაკაბიში“ როგორ მოხვდით?

– „მაკაბიში“ იჯარით გამიშვეს. კლუბთან ერთად ისრაელის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოვიპოვე. – ჰაფაზში თქვენი თანატოლები იოსი ბენაიუნი იყო, რომელმაც ინგლისში კარგი კარიერა გაიკეთა. ის გამოირჩეოდა?

– რა თქმა უნდა. უკვე მაშინ იყო შესამჩნევი, რომ ბენაიუნი ძალიან ძლიერი და საჭირო ფეხბურთელია.

– პსვ-ში დაბრუნების შემდეგ, მთავარ მწვრთნელად ეროვ გერეტსი დაგვადათ. მის დროს გუნდში რა შეიცვალა?

– გერეტსს ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მწვრთნელად მივიჩნევ, ვისთანაც კი მიმუშავია. მის დროს გუნდი უფრო კარგად გამოიყურებოდა და თამაშიც კარგად გამოგვდიოდა. გერეტსის დროს ჰოლანდიის ჩემპიონები გავხდით და თასი მოვიგეთ. გუნდში ვან ბომელი, კუჟმანი, ჰინცე და ბოუმა გამოჩნდნენ.

– გერეტსის მისვლამდე პსვ სიმპათიური გუნდი იყო, მაგრამ ჰოლანდიის ჩემპიონატში მე-2 ადგილზე მალევე ვერ ავიდა. ამის მიზეზი მწვრთნელების ცვლა იყო თუ ძლიერი კონკურენტები გყავდათ?

– გერეტსის მისვლის შემდეგ პსვ ჩემპიონი გახდა და თასი მოიგო. შეიძლება ითქვას, რომ მან ახალი ეპოქა შექმნა. ჰოლანდიის ჩემპიონატი საკმაოდ რთული ტურნირია. იქ დუბლის გაფორმება ისტორიაში შესვლას ნიშნავს. გუს ჰინცემა გუნდის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მისი მწვრთნელობის დროს გუნდი ასევე ჩემპიონი გახდა. მისი ხელმძღვანელობით ერთი წელი ვითამაშე. შემდ-

ლია ვთქვა, რომ, ახალი მწვრთნელის მოსვლასთან ერთად, მსვ რაღაც ახალს იძენდა და უფრო ძლიერდებოდა.

– „ტვენტეში“ რატომ გადასვდით? თამაში გსურდათ? ახლა, უკრაინაში ბევრს ურჩევნია, რომ სათადარიგოთა სკამზე იჯდეს და ხელფასი მიიღოს. თუ ჰოლანდიაში მსგავსი რამ არ ხდება?

– თამაში ძალიან მინდოდა და „ტვენტეში“ ამიტომ გადავედი. ჩემთვის თადარიგში ჯდომა და ხელფასის აღება მიუღებელი იყო. „ტვენტეში“ გადასვლა არასოდეს მინანია.

– დონეცკის „მეტალურგში“ გიორგი დემეტრაძე და გოჩა ჯამარაული თამაშობდნენ. იქ გადასვლა მათი რჩევით გადაწყვიტეთ?

– არა, დონეცკში დიმიტრი სელიუკმა მიმიწვია. – უკრაინის ჩემპიონატი როგორ დაგამახსოვრდათ? იმ დროს „მეტალურგი“ ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოდა. კარგი გუნდი იყო?

– გუნდში მხოლოდ 3 თვე გავატარე. გახსენება არ მსურს „მეტალურგიდან“ რატომ წავედი, ყველაფერი ცუდად მახსენდება. უკრაინის ჩემპიონატში დონეცკის „შახტარი“ დამამახსოვრდა, რომელიც მაშინაც კარგ ფეხბურთს აჩვენებდა.

– უკრაინის, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ყველაზე რთული პირველი სამი თვეა? ეს თვეები როგორ გადაიტანეთ? ახალი საქმიანობა როგორ დაიწყო?

– ვალიარებ, რომ პირველი სამი თვე ყველაზე რთული იყო. ჩემი ოჯახისა და მეგობრების დახმარებით გადავლახე ეს ეტაპიც. ფეხბურთის დაკუბურვნი, მაგრამ, უკვე როგორც ფიფას ლიცენზირებული აგენტი. – აგენტის მუშაობაში განსაკუთრებული რა არის? ფეხბურთი უნდა

იცოდეთ, კავშირები გქონდეს თუ კიდევ სხვა რამ?

– აგენტის მუშაობაში მთავარი კოზირებია – კონტაქტები, სახელგანთავსი კლიენტები, ხოლო ყველაზე მთავარი პატიოსნებაა.

– როგორ შეაფასებთ ქართული ფეხბურთის ამჟამინდელ დონეს? არიან ნიჭიერი ფეხბურთელები? მათ რა აკლიათ?

– ძალიან ნიჭიერი თამაშის იზრდება საქართველოში, მაგრამ მოსამზადებლად ელემენტარული პირობებიც კი არ არის. შარშან წევნი 17-წლამდელო ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა და ძლიერი გუნდები დაამარცხა. ეს თამაშის სახეობაა, რომ დიდ ფეხბურთში გზის გასაკვალად დაეხმაროს.

– ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩებიდან თქვენთვის საუკეთესო რომელი იყო და ყველაზე ცუდად რომელი თამაში გახსენდებოთ?

